საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 30 აგვისტო 2004 №200 (2221) ფასი 50 თეთრი




# ათენის ცეცხლმა ქართულ სპორტში სინათლე და იმედი შემოიტანა



# დღეს მიხეილ სააკაშვილი ოლიმპიური ამალით ბრუნდება

# ATHENS 2004

ATHENS 2004

## 29 აგვისტო

### ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

#### კრივი

**48 კგ**

1 იან ბერტელემი (კუბა)
2 ატაგუნ იალჩინკაი (თურქეთი)
3 სერგეი კაზაკოვი (რუსეთი)
3 ჩუ შიმინი (ჩინეთი)

**54 კგ**

1 გილერმო რიგონდო (კუბა)
2 ვორაპოი პეტჩკუმი (ტაილანდი)
3 ბახოდირჟონ სულთანოვი (უზბეკეთი)
3 აგნასი მამედოვი (აზერბაიჯანი)

**60 კგ**

1 მარიო სეზარ კინდელან მესა (კუბა)
2 ამირ ხანი (ბრიტანეთი)
3 სერიკ ელეევი (ყაზახეთი)
3 მურატ ხრაჩოვი (რუსეთი)

**69 კგ**

1 ბახტიარ არტაევი (ყაზახეთი)
2 ლორენსო არაგონი (კუბა)
3 ოლეგ საიტოვი (რუსეთი)
3 ჟო კიმ ჟუნი (ს. კორეა)

**81 კგ**

1 ანდრე უორდი (აშშ)
2 მაგომედ არიფგაჯიევი (ბელარუსი)
3 უტკირბეკ ხაიდაროვი (უზბეკეთი)
3 ახმედ ისმაილი (ეგვიპტე)

**მძიმე**

1 ალექსანდრ პოვეტკინი (რუსეთი)
2 მუჰამედ ალი (ეგვიპტე)
3 მიშელ ლოპესი (კუბა)
3 რობერტო კამარელე (იტალია)

#### თავისუფალი ჭიდაობა

**კაცები**

**60 კგ**

1 იანდრო მიგელ კინტანა (კუბა)
2 მასუოდ იოკარი (ირანი)
3 კენჟი ინოე (იაპონია)

**74 კგ**

1 ბუვაისა საიტიევი (რუსეთი)
2 გენადი ლალიევი (ყაზახეთი)
3 ივან ფუნდორა (კუბა)

**96 კგ**

1 ჰაჯიმურატ გაცალოვი (რუსეთი)
2 მაგომედ იბრაგიმოვი (უზბეკეთი)
3 ალირეზა ჰეიდარი (ირანი)

#### მხატვრული ტანვარჯიში

**ქალები**

**პირადი პირველობა**

1 ალინა კაბაევა (რუსეთი)
2 ირინა ჩაშინა (რუსეთი)
3 ანა ბესონოვა (უკრაინა)

#### ტაეკვონდო

**კაცები**

**80 კგ**

1 მუნ და სუნგი (ს. კორეა)
2 ალექსანდროს ნიკოლაიდისი (საბერძნეთი)
3 პასკალ ჯენტილი (საფრანგეთი)

**ქალები**

**67 კგ**

1 ჩენ ჩონი (ჩინეთი)
2 მარიამ ბავარელი (საფრანგეთი)
3 ადრიანა კარმოვა (ვენესუელა)

#### მძლეოსნობა




REUTERS

მძლეოსნობის ბოლო სახეობაში, მარათონში დაწინაურებულ ბრაზილიელ ვანდერლეი დე ლიმას 37-ე კილომეტრზე მთვრალი ირლანდიელი ფანატიკოსი გადმოუხტა და ხალხს რომ არ ეშველა, ბრაზილიელი მარათონელი ბრინჯაოს მედალსაც დაკარგავდა

**კაცები**

**მარათონი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სტეფანო ბალდინი (იტალია) | 2:10,55 |
| 2 | მებრატომ კეფლეჟიგი (აშშ) | 2:11,29 |
| 3 | ვანდერლეი ლიმა (ბრაზილია) | 2:12,11 |

## მედლების დაფა

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 35 | 39 | 39 | 103 |
| 2 | ჩინეთი | 32 | 17 | 14 | 63 |
| 3 | რუსეთი | 27 | 27 | 38 | 92 |
| 4 | ავსტრალია | 17 | 16 | 16 | 49 |
| 5 | იაპონია | 16 | 9 | 12 | 37 |
| 6 | გერმანია | 14 | 16 | 18 | 48 |
| 7 | საფრანგეთი | 11 | 9 | 13 | 33 |
| 8 | იტალია | 10 | 11 | 11 | 32 |
| 9 | ს. კორეა | 9 | 12 | 9 | 30 |
| 10 | დიდი ბრიტანეთი | 9 | 9 | 12 | 30 |
| 11 | კუბა | 9 | 7 | 11 | 27 |
| 12 | უკრაინა | 9 | 5 | 9 | 23 |
| 13 | უნგრეთი | 8 | 6 | 3 | 17 |
| 14 | რუმინეთი | 8 | 5 | 6 | 19 |
| 15 | საბერძნეთი | 6 | 6 | 4 | 16 |
| 16 | ნორვეგია | 5 | 0 | 1 | 6 |
| 17 | ჰოლანდია | 4 | 9 | 9 | 22 |
| 18 | ბრაზილია | 4 | 3 | 3 | 10 |
| 19 | შვედეთი | 4 | 1 | 2 | 7 |
| 20 | ესპანეთი | 3 | 11 | 5 | 19 |
| 21 | კანადა | 3 | 6 | 3 | 12 |
| 22 | თურქეთი | 3 | 3 | 4 | 10 |
| 23 | პოლონეთი | 3 | 2 | 5 | 10 |
| 24 | ახალი ზელანდია | 3 | 2 | 0 | 5 |
| 25 | ტაილანდი | 3 | 1 | 4 | 8 |
| 26 | ბელარუსი | 2 | 6 | 7 | 15 |
| 27 | ავსტრია | 2 | 4 | 1 | 7 |
| 28 | ეთიოპია | 2 | 3 | 2 | 7 |
| 29 | ირანი | 2 | 2 | 2 | 6 |
| 29 | სლოვაკეთი | 2 | 2 | 2 | 6 |
| 31 | ტაივანი | 2 | 2 | 1 | 5 |
| 32 | **საქართველო** | 2 | 2 | 0 | 4 |
| 33 | ბულგარეთი | 2 | 1 | 9 | 12 |
| 34 | იამაიკა | 2 | 1 | 2 | 5 |
| 34 | უზბეკეთი | 2 | 1 | 2 | 5 |
| 36 | მაროკო | 2 | 1 | 0 | 3 |
| 37 | დანია | 2 | 0 | 6 | 8 |
| 38 | არგენტინა | 2 | 0 | 4 | 6 |
| 39 | ჩილე | 2 | 0 | 1 | 3 |
| 40 | ყაზახეთი | 1 | 4 | 3 | 8 |
| 41 | კენია | 1 | 4 | 2 | 7 |
| 42 | ჩეხეთი | 1 | 3 | 4 | 8 |
| 43 | სამხრეთ აფრიკა | 1 | 3 | 2 | 6 |
| 44 | ხორვატია | 1 | 2 | 2 | 5 |
| 45 | ლიტვა | 1 | 2 | 0 | 3 |
| 46 | ეგვიპტე | 1 | 1 | 3 | 5 |
| 46 | შვეიცარია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 48 | ინდონეზია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 49 | ზიმბაბვე | 1 | 1 | 1 | 3 |
| 50 | აზერბაიჯანი | 1 | 0 | 4 | 5 |
| 51 | ბელგია | 1 | 0 | 2 | 3 |
| 52 | ბაჰამები | 1 | 0 | 1 | 2 |
| 52 | ისრაელი | 1 | 0 | 1 | 2 |
| 54 | საამიროები | 1 | 0 | 0 | 1 |
| 54 | კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 54 | დომინიკის რესპ. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 54 | ირლანდია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 58 | ჩრდ. კორეა | 0 | 4 | 1 | 5 |
| 59 | ლატვია | 0 | 4 | 0 | 4 |
| 60 | მექსიკა | 0 | 3 | 1 | 4 |
| 61 | პორტუგალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 62 | ფინეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 62 | სერბეთ-ჩერნოგორია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 64 | სლოვენია | 0 | 1 | 3 | 4 |
| 65 | ესტონეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 66 | ჰონკონგი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 66 | ინდოეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 66 | პარაგვაი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 69 | ნიგერია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 69 | ვენესუელა | 0 | 0 | 2 | 2 |
| 71 | კოლუმბია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 71 | მონღოლეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 71 | ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 71 | ერიტრეა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 71 | სირია | 0 | 0 | 1 | 1 |

გიო ახვლედიანის

## დახურვის წინ

ოლიმპიადაც გადაგორდა: კარგი შაბათი ჰქონდა, სათამაშო სპორტების სამედლო თამაშებით. მთელს ამ ამბავში, აშკარა იყო, რომ არგენტინა კაცთა ფეხბურთის და კალათბურთის ოქროებს მოიგებდა. თუმც, მე უფრო ჩინეთის ფრენბურთელი გოგოების უტეხობამ გადამძალა. არგენტინის დაბალ-მაღალი მობურთალნი ისედაც ყველას ჯობდნენ, ჩინელებმა კი, რუსებს იმგვარად მოუტრიალეს თამაში, გამოვას ისეთი ნათხლეშები აილეს, რომ... საერთოდ კი კუბელი გოგოების მხარეს ვიყავი და სწორედ ამ ჩინელებმა გამომიგდეს ნახევარფინალიდან.

მე რომ მკითხოთ, ოლიმპიადის მთავარი ხიბლი ის არის, რომ იქ ყველაფერია და ამ ყველაფერში მაინცდამაინც შენთვის მიმზიდველი რაღაცის ძებნა არ გჭირდება. შეჯიბრის სული იმგვარია, რომ ყველაფერი მიმზიდველი ხდება.

საქართველომ ამ ოლიმპიადაზე პირველად მოიპოვა ოქროს და ვერცხლის მედლები როგორც საქართველომ, მაგრამ წინაზე ნაჩვევი ბრინჯაო ველარაფრით იშოვა, ჯამურად კი 32-ე ადგილზე გავიდა არაოფიციალურ ცხრილში. ამ შედეგით ყველა კმაყოფილია. რამაზ ნოზაძის მეორე ვერცხლმა ბულგარეთისთვის გადაგვასწრებინა, რომელმაც 2 ოქრო, 1 ვერცხლი და ერთბაშად 9 ბრინჯაო მოიგო. ჩვენი პრეზიდენტი კი ოხუნჯობდა, ბრინჯაოს არ ვიბარებთ, ოქრო-ვერცხლი გამოუშვითო, მაგრამ შაბათს ვინც უყურა, როგორ იბრძოდნენ მესამე ადგილისთვის უკრაინელი ხელბურთელი გოგოები, ან იმავე დარგის რუსი ბიჭები, რა დასამალია და, ბრინჯაო და თანაც ბევრი, მეც მინდოდა.

ამდენი (12) მოჭიდავე გვყავდა ოლიმპიადის ბოლო ხუთ დღეს და ერთი, თუნდაც საამაყო ვერცხლის მედალი, სულაც არ მებევრა. ბერძნულ-რომაულის მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია, თავადვე ამბობდა, უკმაყოფილო ვარო. თავისუფალშიაც ვერავინ გასცდა მეოთხედფინალს. თანაც, ხომ მაგარი მოჭიდავეები გვყავს. ახლა ის არ იფიქროთ, სულ არ გვქონდა ოქრო-ვერცხლი და ეს გაუმაძღარი კაცი ბრინჯაოებსაც ითხოვსო, მაგრამ ბულგარეთის 9 ბრინჯაო იმას ნიშნავს, რომ მათ სულ ნაბიჯი დააკლდათ ოქრო-ვერცხლამდე. ანუ მე რესურსზე ვამბობ. თანაც, ოლიმპიური მედალი მედალია. სპორტსმენებს ჩვენზე მეტად უნდოდათ გამარჯვება. ეს ცხადია. საქართველოს ოლიმპიური გუნდი ოთხი წლის თავზე უკეთესი იქნება, ესეც ცხადია. ალეკო დოხტურიშვილის და ჯარჯი ზვიადაურის ამბავი კი გვიხარია, მაგრამ ეს მაინც სხვა დროშებია. საოცარი არ იქნებოდა, საქართველოს თავისი დროშის ქვეშ ჰყოლოდა ბატუტზე მხტომელი ოლიმპიური ჩემპიონი? გერმანიას ჰყავს, ქართველი.

აი, ამას ვამბობ. ჩვენ ჭიდაობა და ძალოსნობა გვეიმედება ხოლმე. მოდი, სამომავლოდ სხვა რამეც გვეიმედოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები

ათენში ჩასულ მიხეილ სააკაშვილს ზურაბ ზვიადაურმა, გიორგი ასანიძემ, რამაზ ნოზაძემ და ნესტორ ხერგიანმა ორი ოქრო და ორიც ვერცხლი დაახვედრეს

# პრეზიდენტმა დაგვიზარა

## მიხეილ სააკაშვილი სპორტული ტერიტორიების შემოერთებას აპირებს

ავთანდილ გურასაშვილი

ათენიდან

**ათენში**, გლიფადის რაიონის მერიაში ოლიმპიური თამაშებისთვის მოწყობილ „ქართულ სახლში" ყოველ შეკრებაზე თუ ლონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტი თითქოს მუდამ ჩვენთან იყო. იგი ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დაკიდებული პორტრეტიდან გადმოგვყურებდა და ჩვენს აქამომდელ სიხარულს იზიარებდა, რაც ორ-ორმა ოლიმპიურმა ოქრომ და ვერცხლმა მოგვიტანა, შაბათს კი მიხეილ სააკაშვილი უკვე პორტრეტთან ერთად თავადაც „ქართულ სახლში" იყო და ქართულ სულს ალვივებდა. აქ იყვნენ ჩვენი მედალოსნები, მათი მწვრთნელები, ათენში მცხოვრები ქართველები, მათ შორის სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი...

თავდაპირველად საქართველოს პრეზიდენტმა ჩვენი ოლიმპიელების ათენში წარმატება შეაფასა. თქვა, რომ ჩვენზე ბევრად დიდ ქვეყნებზე დიდი წარმატება გვაქვს, რითაც თავაწეული და ბედნიერი ვარ, თუმცა, როცა ჩვენი ზვიადაური ილიადისის სახელით საბერძნეთისთვის ოლიმპიური ჩემპიონი ხდება, გული მტკივაო.

„როცა საქართველოს გამთლიანებაზე და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ვსაუბრობთ, ჩვენი ნიჭიერი ხალხიც უნდა დავაბრუნოთ — უკვე ტრადიციისამებრ ამბობს მიხეილ სააკაშვილი — ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში მამლუქობის დრო უნდა დამთავრდეს, კახიაშვილი მოქმედ სპორტსმენად თუ არა, მწვრთნელად მაინც უნდა მოვიწვიოთ."

მერე პრეზიდენტი ვანო გრიქუროვს მიუბრუნდა — „თქვენ საქართველოდან გაჭირვების გამო წახვედით. მინდა, მოგიწვიოთ საქართველოში. თბილისში გპირდებით ბინასაც, სპორტდარბაზსაც... აქ ვარშავაზე ნაკლები პირობები არ გექნებათ" — უთხრა მიხეილ სააკაშვილმა კახიაშვილსა და ასანიძის აღმზრდელს, თან რიტორიკულად, თვალებგაბრწყინებულმა ჰკითხა, ხომ დაბრუნდებიო.

პრეზიდენტმა ისიც თქვა, ჩვენ შეგვიძლია, მომავალში სპორტის რამდენიმე სახეობაში მედლების უმეტესობა მოვიპოვოთ. გპირდებით სპორტული მოედნების და დარბაზების მშენებლობას. ეს საქმე ქართლ-კახეთიდან უნდა დავიწყოთ, სადაც სპორტსმენები ვენახებივით იზრდებიანო...

პრეზიდენტმა ცალ-ცალკე დაახასიათა საქართველოს მედალოსანთა გმირობა...

„ზვიადაურს რამდენიმე თვის წინათ ასდოლარიანი ბოტასების წასართმევად დანა გაუყარეს, მაგრამ დღეს იგი ოლიმპიური ჩემპიონია; ასანიძე დაშავებული მხრის გამო ჩამოწერილი სპორტსმენი იყო, მაგრამ მას ეყო სულის სიმტკიცე და ოქროს მედლით გაგვახარა. ხერგიანმა თავისი ვერცხლის მედლის მოპოვებით სათავე დაუდო და სტიმული მისცა ჩვენს შემდგომ წარმატებებს" — თქვა პრეზიდენტმა, მერე კი რამაზ ნოზაძეს მიმართა, მაინც ეს ვინ იყო, რას გადაეყარე ფინალშიო, მაგრამ არა უშავს, მომავალში მაგასაც რაღაცას მოუხერხებო.

მიხეილ სააკაშვილი „ქართულ სახლში" ყოველივე ამაზე რომ საუბრობდა, იმ დროს ჩვენი დავით პოლოსიანი მეორე გამარჯვების მერე ოლიმპიურ სოფელში ისვენებდა და საკვირაო ბრძოლაზე ფიქრობდა.

„დავით პოლოსიანს გადაეცით, რომ ოლიმპიური ხუთი რგოლის შესაკვრელად მეხუთე მედალიც გვჭირდება, მაგრამ ამას თუ ვერ შეძლებს, ისიც დიდი წარმატებაა, რასაც მივაღწიეთ..."

სამწუხაროდ, კვირას დავით პოლოსიანს თავს ზემოთ ძალა აღარ ეყო, ხუთი რგოლი შეუკრავი დაგვრჩა, მაგრამ ის ოთხი ხომ მეტად ხარისხიანია, რასაც აქამდე მთელი ორი ოლიმპიადის განმავლობაში ვერ ვეღირსეთ. ეგეც რომ არ იყოს, ათენში 137 ქვეყანა საერთოდ უმედლოდ დარჩა.

„საქართველოს წარმატება ბევრს შურს. შურთ იმიტომ, რომ საოლიმპიადოდ საქართველოზე მეტი ფული დახარჯეს, შედეგი კი ჩვენზე უარესი მიიღეს — ამბობს მიხეილ სააკაშვილი და მერე ნახევრადხუმრობით ერთ საიდუმლო გაამჟღავნა — ჩემმა შვილმა აქ, ჭიდაობის დარბაზში ერთი მეზობელი ქვეყნის ფულით გაძეძგილი ორი ჩემოდნით კაცი ნახა. უნდოდა პოლიციელისთვის დაეძახა, მაგრამ დედამისმა არ დაანება, მამაშენი აქ არ არის და ვერ დაიჭერენო..."

და კიდევ, ვინ არის ჩვენზე მაგარიო, იკითხა მიხეილ სააკაშვილმა და თავადვე უპასუხა — ოთხი წლის მერე ჩვენს ამ შედეგს გავაუმჯობესებთ, საქართველოში უკან დახევა მოდაში აღარ არისო...

ამ სიტყვებში, ცხადია, მხოლოდ ოლიმპიური თამაშები და საერთოდ სპორტი არ იგულისხმებოდა...

ასეთ მაჟორულ და ოპტიმისტურ ნოტაზე დასრულდა „ქართულ სახლში" ჩვენი ბოლო თავყრილობა, მერე კი, ისე როგორც ათენში გამომგზავრებამდე, პრეზიდენტთან მილებისას, იყო უამრავი სამახსოვრო სურათის გადაღება, რომლის მთავარი მოქმედი პირნი იყვნენ: მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ზვიადაური, გიორგი ასანიძე, რამაზ ნოზაძე და ნესტორ ხერგიანი. ყველანი რიგრიგობით ცდილობდნენ მათთან ერთად თუ ცალ-ცალკე სურათის გადაღებას და ისინიც, ცხადია, უარს არავისეუბნებოდნენ. ეს ყოველივე დასრულდა ღია ცის ქვეშ რესტორან „ამიგოში" პრეზიდენტთან ერთად მოწყობილ ბანკეტზე...



ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები

ლხინი „ამიგოში" პრეზიდენტთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭიდაობას რა უნდა? ეჰ, რამდენი რამ უნდა

*სამი კვირის წინ ნებისმიერი ქართველი გულშემატკივრისთვის რომ გვკითხათ, ათენიდან მედლებს ვისგან ელით, უკლებლივ ყველა მოჭიდავეებს დაასახელებდა. ბრინჯაოს მედლების ხანის დასრულებას ყველაზე მეტად მათგან ველოდით და წარმოიდგინეთ, ეს მოლოდინი ძიუდოისტ ზურაბ ზვიადაურისა და ძალოსან გიორგი ასანიძის ოქროების შემდეგ როგორ გაიზარდა. ოპტიმიზმს ახსნაც ისეთი ჰქონდა, მეტი დამაჯერებლობა შეუძლებელიც კი იყო. თვეების წინ ხომ ჩვენმა ბერძენ-რომაელებმა და თავისუფლებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონობები იზეიმეს. გარდა ამისა, თორმეტკაცა ოლიმპიურ გუნდში იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონები მუხრან ვახტანგაძე, მანუჩარ კვირკველია და ელდარ კურტანიძე, ევროპის ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი. საკამათო ისღა იყო, სხვების სამ მედალს თავიანთი მედლების ხარისხითა და რაოდენობით გადასწონიდნენ თუ ვერა*



ჩვენი „ოქროს იმედი“ ელდარ კურტანიძე ათენიდან უმედლოდ მოდის

ბადრი კეთილაძის ფოტო

პირველები ხალიჩაზე ბერძენ-რომაელები გავიდნენ და პირველი იმედგაცრუებაც გვაგემეს. თავის სამართლებლად მხოლოდ ირაკლი ჭოჭუასა და აკაკი ჩაჩუას მსაჯთაგან დაჩაგვრა და რამაზ ნოზაძის ვერცხლიღა შეგვრჩა. და კიდევ იმედი (ოღონდ ტელევიზია არა), რომ მათ ჩავარდნას თავისუფლები დაგვავიწყებდნენ. ბოლოს და ბოლოს ხალიჩაზე მთელი საქართველოს „ოქროს იმედი“, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და სიდნეის ბრინჯაოსანი ელდარ კურტანიძე იყო გასასვლელი. სამწუხაროდ, ეს იმედიც ორ დღეში გაქრა. მეორე ექვსეულმა პირველის შედეგი არათუ გამოასწორა, მასთან ახლოსაც ვერ მივიდა. ხუთი მოჭიდავე, მათ შორის კურტანიძე, ქვეჯგუფში ჩარჩა, მხოლოდ დავით პოლოსიანმა გააღწია მეოთხედფინალში და იქვე დამარცხდა კუბელ მეტოქესთან.

მოჭიდავეთა ათენურ ჩავარდნაზე ალბათ ბევრი ითქმება, ისევე როგორც ემიგრანტ ქართველ მოჭიდავეთა (და არა მარტო მოჭიდავეთა) წარმატებებზე. ნოზაძის ვერცხლის გარდა ხომ ჩვენებურებმა ალექსანდრე დოხტურიშვილმა და გიორგი წურწუმიამ ოქრო-ვერცხლი მოიპოვეს, მაგრამ ერთმა უზბეკეთისთვის, ხოლო მეორემ ყაზახეთისთვის. ამ ბიჭების გამამლუქების განსჯას უკვე ბევრი ცდილობს, თუმც რაც უნდა ითქვას, ძნელია, ერთმნიშვნელოვნად დაეთანხმო.

დოხტურიშვილმაც და წურწუმიამაც ხომ ეს ნაბიჯი ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად გადადგეს. მსგავსი წარმატებების მიღწევამდე მათ იმ უცხო ქვეყნებშიც არ ექნებოდათ დიდი პატივი და სიყვარული. რაც შეძლეს, მხოლოდ თავიანთი მონდომებისა და ნიჭის წყალობით. და მაინც, ერთიც ვთქვათ, აქ რომ ეჭიდავათ, თავიანთ წონებში მხოლოდ კონკურენციას თუ გაზრდიდნენ, ოლიმპიური საგზური კი ალბათ მაინც სხვებს ერგებოდათ. ბადრი ხასაია არათუ საქართველოში, ევროპაშიც 74 კილოგრამის აშკარა ლიდერია და დოხტურიშვილს ალბათ პირად შეხვედრებშიც აჯობებდა. მირიან გიორგაძემ კი წურმწუმიას ათენშიც მოუგო.

არ გვინდა, ამ ბოლო წინადადებებით სხვა ჩრდილში მოქცეულ ნიჭიერ ქართველებს იმისკენ ვუბიძგოთ, რომ წურწუმია-დოხტურიშვილს მიჰბაძონ. უბრალოდ, წარუმატებლობის მიზეზად ამ ორი მედალოსანის გაუცხოელებას ნუ მივიჩნევთ. საერთოდაც, მიზეზი ერთი არ არის, უფრო პატარ-პატარა მიზეზების ერთობლიობაა.



მსოფლიოს ჩემპიონი მუხრან ვახტანგაძე ჯგუფიდან ვერ გავიდა

## ვერმომზადება

ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ალბათ ესაა, მაგრამ, ცხადია, მოჭიდავეებს ოლიმპიადისთვის ხეირიანად მოსამზადებლად ყველა პირობა შეუქმნეს. შეკრებებიც მრავლად მოუწყვეს და უცხოური ტურნირებიც არ დააკლეს საშეჯიბრო გამოცდილების შესანარჩუნებლად.

## გადაღლა

მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელებს წინასწარვე ჰქონდათ გათვლილი, საუკეთესო ფორმისთვის სპორტსმენებს ზედ ოლიმპიური თამაშების წინ მიეღწიათ, ეს არ მოხერხდა. არაპროფესიონალიც შეამჩნევდა, რომ თითქმის არც ერთი მოჭიდავე არ იმყოფებოდა ჩვეული ფორმის პიკზე. შუა ბრძოლებში რომ თავიანთ მეტოქეებზე უფრო გადაღლილნი ჩანდნენ. ამის ბრალი უნდა იყოს, გაცილებით სუსტ მოჭიდავეებსაც რომ ვერ გაუმკლავდნენ.

## უიღბლობა

აქ კენჭისყრას ვგულისხმობთ. კვირკველიაც და კურტანიძეც ხომ პირველსავე ბრძოლაში უმთავრეს კონკურენტებს გადაეყარნენ. არც სხვებს გაუმართლათ, მაგრამ ამით თავის მართლება ცოტა უხერხულია. როგორც კურტანიძისა და კვირკველიასთვის იყვნენ პირველი მეტოქეები, ირანელი და თურქი, ისევე არ იყვნენ მათთვის ქართველები? სამწუხაროდ, გამარჯვებული ორივე შემთხვევაში უცხოტომელი დარჩა.

## მსაჯობა

ირაკლი ჭოჭუას მედლისკენ მიმავალ გზაზე ხალიჩაზე მყოფი და კიდევ მაგიდასთან მსხდომი არბიტრები გადაელობნენ. ეს ყველამ კარგად დაინახა და ბრძოლის დასრულებისთანავე სპეციალისტებსაც ულიარებიათ. ჩვენ ვერ ვნახეთ, მაგრამ დაახლოებით იგივე დღეში ჩაუგდიათ სიდნეის ბრინჯაოსანი აკაკი ჩაჩუაც. სხვა მოჭიდავეებთან დაკავშირებით კი არბიტრებისადმი სამდურავი, მგონი, არ გვეთქმის გულშემატკივრებს.

## სტრესი

თავიდანაც ვთქვით, რომ ისედაც მედლების უმთავრეს კანდიდატებად მიჩნეული ბიჭებისგან წარმატების მოლოდინი მას შემდეგ უფრო გაიზარდა, რაც სხვა სპორტსმენებმა გამარჯვების დიდი სიხარული მოგვანიჭეს. ამას, ცხადია, თავადაც გრძნობდნენ და თავისდაუნებურად ზედმეტადაც დაიძაბნენ. ყველაზე დიდი ტვირთი კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ელდარ კურტანიძეს დააწვა, რომელიც დღეს ათენიდან უტიტულოდ ბრუნდება.

**ოთარ გაღლაძელიძე**



გელა საღირაშვილმა (მარჯვნივ) ჯგუფში ორივე შეხვედრა დათმო

### ქართველი მოჭიდავეები ათენში

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

| | | |
|---|---|---|
| 55 კგ | ირაკლი ჭოჭუა | მე-6 ადგილი |
| 60 კგ | აკაკი ჩაჩუა | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 66 კგ | მანუჩარ კვირკველია | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 84 კგ | მუხრან ვახტანგაძე | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 96 კგ | რამაზ ნოზაძე | ვერცხლი |
| 120 კგ | მირიან გიორგაძე | ჯგუფიდან ვერ გავიდა |

**თავისუფალი ჭიდაობა**

| | | |
|---|---|---|
| 60 კგ | დავით პოლოსიანი | მე-5 ადგილი |
| 66 კგ | ოთარ თუშიშვილი | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 74 კგ | გელა საღირაშვილი | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 84 კგ | რევაზ მინდორაშვილი | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 96 კგ | ელდარ კურტანიძე | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 120 კგ | ლექსო მოდებაძე | ჯგუფიდან ვერ გავიდა |

# კაპიტულაცია

## ამერიკამ მსოფლიო აღიარა





მანუ ჯინობილიმ „სან ანტონიოში" უფროს თანაკლუბელ ტიმ დანკანს ნაკრებიც დაუჩაგრა და ოქროც წაართვა

28 აგვისტო

**კაცები**

**ფინალი**

**არგენტინა 84:69 იტალია**

არგენტინა: სკოლა (25 ქულა, 11 მოხსნა), მონტეჩია (17), ჯინობილი (16), ვოლკოვისკი (13)
იტალია: პოცეკო (12), სორანა (12), რომბალდონი (10)

**მე-3 ადგილისთვის**

**აშშ 104:96 ლიტვა**

აშშ: მარიონი (22), აივერსონი (15), მარბერი (14), ოდომი (14)
ლიტვა: მასიაუსკასი (24), იასიკევიჩუსი (17), შტომბერგასი (13), შიშკაუსკასი (13)

**ქალები**

**ფინალი**

**აშშ 74:63 ავსტრალია**

აშშ: ტომპსონი (18), სტელი (14), ლესლი (13), ჯონსონი (12)
ავსტრალია: ტეილორი (16), ჯექსონი (12 ქულა, 14 მოხსნა), პაროუერი (11)

**მე-3 ადგილისთვის**

**რუსეთი 71:62 ბრაზილია**

რუსეთი: გუსტილინა (12), არხიპოვა (11)
ბრაზილია: მარკესი (16), არკაინი (15)

არგენტინა ჯერ კიდევ შარშანწინ უნდა გამხდარიყო პლანეტის საუკეთესო გუნდი, მაგრამ ინდიანაპოლისში მსაჯებმა სერბებს უნამუსოდ აჩუქეს მსოფლიოს ჩემპიონობა და „დრიმ თიმის" მძლეველ სამხრეთამერიკელებს თვალები აუცრემლეს. არგენტინელები გუშინწინაც ატირდნენ, ოღონდ მათი ცრემლი ამჯერად სიხარულისა გახლდათ და მას ოლიმპიური ოქროს ფასი ჰქონდა.

„მე ვტიროდი, მაგრამ თან მეცინებოდა. მინდოდა, ათენშიც ვყოფილიყავი და ბუენოს აირესშიც — ჩემს თანაგუნდელებთან ერთად გამარჯვების ზეიმიც მსურდა და ათასობით არგენტინელის სიხარულისგან გაფართოებულ თვალებში ჩახედვის სურვილიც მკლავდა." — ეს სიტყვები თქვა არგენტინელთა ლიდერმა ემანუელ ჯინობილიმ, რომელიც ნბა-ში არც მთლად ჯაბანია და არც სუპერვარსკვლავი. მაგრამ ამერიკამ არგენტინასთანაც წააგო და მის გარდა კიდევ ორ ქვეყანასთან და საბოლოოდ კრახის ტოლფასი ბრინჯაო ერგო. არგენტინამ კი ნამდვილი, ღია და ლაღი კალათბურთი ითამაშა, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა და ამერიკული კალათბურთის მამებს ბანალური ჭეშმარიტება შეახსენა, თუ მომავალში ისინი კვლავ არ შეკრავენ ნბა-ს ნამდვილ ნაკრებს, ვერასდროს ეღირსებიან დიდ გამარჯვებას.

არადა, არგენტინამ ფინალი იტალიას მოუგო, ამერიკაზე კი ვლაპარაკობთ. ვილაპარაკებთ კიდეც, რაკი სამხრეთამერიკელები ჩემპიონები ნახევარფინალში ამერიკელების ძლევით გახდნენ და იტალიელთა მოსაგები რომ ფინალს არაფერი ეცხო, ყველა კარგად დაინახავდა.

აპენინელების ნაცვლად ფინალი ლიტველებს უნდა ეთამაშათ, მაგრამ იტალიას რომ ნახევარფინალში გაუმართლა, ეგრე ვინძლო ქართველებსაც დაემარცხებინათ ბალტიელები. „სკუადრა აძურამ" სამქულიანების სეტყვით ნახევარფინალში წესი აუგო ლიტვას და ოლიმპიური ჩემპიონობაც ამავე ხერხით განიზრახა ფინალში. ვინ დააცალა. არგენტინელები გონივრულად განლაგდნენ პერიმეტრზე და თუმც იტალიამ მაინც მოახერხა უსაშველოდ ბევრი, 31 სამქულიანის სროლა, მესამედიც ვერ ჩააგდო და კონტრშეტევებით ნაზავ ფარქვეშა კალათბურთში აშკარად დაიჯაბნა საზრიან სამხრეთამერიკელებთან. თუ ემანუელ ჯინობილი და ალეხანდრო მონტეჩია ძირითადად სისწრაფის ხარჯზე იხვეჭდნენ ქულებს, გრძნეული ლუის სკოლა სამწამიანიდან ატერორებდა წოწოლა იტალიელებს, მათ ტაქტიკითაც ჯაბნიდა და სიზუსტითაც. გამარჯვებაც არგენტინას ერგო, რომელსაც თამაშში ერთხელ, ისიც ორი წუთით გაუჭირდა მესამე მეოთხედში. იტალიელი ჯანლუკა ბაზილეს სამიანით აპენინელები პირველად და უკანასკნელად დაწინაურდნენ — 54:51. რუბენ ვოლკოვისკისა და ლუის სკოლას შტურმით სამხრეთამერიკელებმა ლიდერობა უმალ დაიბრუნეს და დარჩენილ დროში ევროპელთათვის შანსი აღარ მიუციათ.

ამასობაში კი ამერიკამ მესამე ადგილისთვის მატჩში დაამარცხა ლიტვა, ჯგუფურ ეტაპზე დამარცხებისთვის შურიც იძია და თან ბრინჯაოც ჩაიჯიბა. ამერიკელებმა ისე გახარეს ნახევარფინალში იტალიელებისგან დაზაფრული ლიტველების ძლევით, რომ ასე 12 წლის წინ მხოლოდ სხვა გალაქტიკის ნაკრებთან გამარჯვება თუ გაახარებდათ, რაკი ბარსელონაში „დრიმ თიმი" დანარჩენებთან შედარებით ზებუნებრივ კალათბურთს თამაშობდა.

გუშინ კი გამოვიდა ამერიკის ნაკრების მწვრთნელი ლარი ბრაუნი და ისეთი რამ თქვა, მთელი თუ არა, ნახევარი ამერიკა მაინც ჩათვლიდა თავს შეურაცხყოფილად: „შესაძლოა, ეს ერთ-ერთი ყველაზე ძნელი მატჩი იყო ჩემს სამწვრთნელო კარიერაში და ვფიქრობ, ამავეს იტყვიან მოთამაშეებიც. მე ვამაყობ ჩემი ბიჭებით. არგენტინასთან ნახევარფინალში წაგების შემდეგ ისინი მალე მოეგნენ გონს. ეს გამარჯვება ძალიან საამაყოა ჩემთვის და ის უთუოდ წაადგება ამერიკულ კალათბურთს."

ამერიკას მაინც ერგო ოლიმპიური ოქრო კალათბურთში, რომელიც ქალებმა მოიპოვეს. ვაჟებისგან განსხვავებით, ამერიკელ გოგონებს არავინ დაუეჭვებიათ საკუთარ ძლევამოსილებაში და ავსტრალიაც ისევე გადათელეს ფინალში, როგორც მანამდე ყველა დანარჩენი მეტოქე.

**ირაკლი პერტაია**



ამერიკელი ქალები ზედიზედ მესამე ჩემპიონობას ასველებენ



# უცრემლო და ცრემლიანი არგენტინა



კარლოს ტევესი: ნახევარი არგენტინა

**კაცები**

**ფინალი**

**არგენტინა 1:0 პარაგვაი**

1:0 კარლოს ტევესი (18)
არგენტინა: ხერმან ლუქსი, რობერტო აიალა, ფაბრიციო კოლოჩინი, ხავიერ მასკერანო, გაბრიელ ჰეინცე, კარლოს ტევესი, კილი გონსალესი, მაურო როსალესი, სეზარ დელგადო (კლემენტე როდრიგესი 76), ანდრეს დალესანდრო, ლუის გონსალესი
*მწვრთნელი:* მარსელო ბიელსა
პარაგვაი: დიეგო ბარეტო, ემილიო მარტინესი, ხულიო მანსური, კარლოს გამარა, პაბლო ხიმენესი, ფრედი ბარეირო, დიეგო ფიგუერედო, აურელიანო ტორესი, კელსო ესკიველი (ხულიო გონსალესი 76), ედგარ ბარეტო (ერნესტო კრისტალდო 72), ხულიო სეზარ ენკისო (ოსვალდო დიასი 63)
*მწვრთნელი:* კარლოს ხარა
*გაძევება:* ემილიო მარტინესი (66), დიეგო ფიგუერედო (82)
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

**მე-3 ადგილისთვის**

**იტალია 1:0 ერაყი**

1:0 ჟილარდინო (8)

არგენტინის ნაკრებმა მიჯრით ექვსი მატჩი მოიგო, 17 გოლი გაიტანა, არც ერთი გაუშვა და ოლიმპიური ოქრო ჩაიხუტა. 17-დან რვა „ბოკა ხუნიორსის" გოლკაცა კარლოს ტევესმა მიითვალა. „მე მარსელო ბიელსას გამარჯვება მიხარია, რადგან სამშობლოში გამუდმებით აკრიტიკებენ, მან კი დაამტკიცა, რომ მცოდნე და ნაღდი პროფესიონალია. ეს დღე ჩემს ცხოვრებაში უძვირფასესია" — თქვა ტევესმა.

„ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიე უმამობას, ამ ოქროს მედალს კი მის ხსოვნას ვუძღვნი — ჩამოცრემლა „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა გაბრიელ ჰაინცემ, რომელსაც ივნისში მამა გარდაეცვალა — ოლიმპიური ოქრო განსაკუთრებულად ფასობს და ამიტომ კარიერაში უბედნიერესი დღე მაქვს."

„მე არასოდეს ვქედმაღლობ, როცა ვიგებთ და არც წაგების შემდეგ გავურბივარ პასუხისმგებლობას. ჩემს თვალზე ცრემლს თუ ვერ ხედავთ, ნუ იფიქრებთ, რომ არ მიხარია ეს გამარჯვება. ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ოლიმპიური ჩემპიონობის გემო სულ სხვაა" — განაცხადა მარსელო ბიელსამ.

ვერცხლოსანთა თავკაცმა კარლოს ხარამ პარაგვაის ისტორიაში პირველი ოლიმპიური მედალი ასუნსიონის ერთ-ერთ სუპერმარკეტში ხანძრისგან დაღუპულთა ხსოვნას მიუძღვნა და იქვე მატჩის არბიტრი კიროს ვასარასი არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულა: „ვასარასის გადაწყვეტილებებს მატჩის ანგარიშზე პირდაპირი გავლენა არ მოუხდენია, მაგრამ ჩემი ბიჭები ფსიქოლოგიურად დათრგუნა." ვასარასმა პარაგვაის ორი ფეხბურთელი გაუძევა მას შემდეგ, რაც არგენტინა კარლოს ტევესის გოლით დაწინაურდა. ემილიო მარტინესი იმიტომ გააძევა, რომ ანდრეს დალესანდროს იდაყვი ჩაარტყა, მერე კი დიეგო ფიგუერედო ორი ყვითელი ბარათის ძალით მიაბრძანა.

**გაჟა ხუციშვილი**

# ATHENS 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004 — ATHENS 2004

## 28 აგვისტო
## ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

### ნიჩბოსნობა

**კაცები**

**ერთადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

1 ვან კუვერდენი (კანადა)
2 ნატან ბაგალი (ავსტრალია)
3 იან ვაინი (ბრიტანეთი)

**ორადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

1 გერმანია
2 ავსტრალია
3 ბელარუსი

**ერთადგილია კანოე. 500 მ**

1 ანდრეას დიტმერი (გერმანია)
2 დევიდ კელი (ესპანეთი)
3 მაქსიმ ოპალევი (რუსეთი)

**ორადგილიანი კანოე. 500 მ**

1 ჩინეთი
2 კუბა
3 რუსეთი

**ქალები**

**ერთადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

1 ნატაშა იანიჩი (უნგრეთი)
2 ჟოზეფა იედმი (იტალია)
3 კაროლინ ბრუნეტი (კანადა)

**ორადგილიანი ბაიდარა. 500 მ**

1 უნგრეთი
2 გერმანია
3 პოლონეთი

### თავისუფალი ჭიდაობა

**კაცები**

**55 კგ**

1 მავლეტ ბატიროვი (რუსეთი)
2 სტეფან ებასი (აშშ)
3 ჩიკარა ტანაბე (იაპონია)

**66 კგ**

1 ელბრუს თედეევი (უკრაინა)
2 ჟამილ კელი (აშშ)
3 მახაჩ მურთაზალიევი (რუსეთი)

**84 კგ**

1 კელ სანდერსონი (აშშ)
2 იუ ჟე მუნი (ს. კორეა)
3 საჟიდ საჟიდოვი (რუსეთი)

**120 კგ**

1 არტურ ტაიმაზოვი (უზბეკეთი)
2 ალირეზა რეზაეი (ირანი)
3 აიდინ პოლაჩი (თურქეთი)

### სამთო ველორბოლა

**კაცები**

1 ჟულიენ აბსალონი (საფრანგეთი)
2 ხოსე ანტონიო ერმიდა (ესპანეთი)
3 ბარტ ბრენტენსი (ჰოლანდია)

### კრივი

**51 კგ**

1 იურიორკის გამბოა ტელედანო (კუბა)
2 ჟერომ ტომასი (საფრანგეთი)
3 რუსტამხოჯა რახიმოვი (გერმანია)
3 ფუად ასლანოვი (აზერბაიჯანი)

**57 კგ**

1 ალექსეი ტიშჩენკო (რუსეთი)
2 გუკ სონ კიმი (ჩ. კორეა)
3 ვიტალი ტაიბერტი (გერმანია)
3 ხვან სიოკ ჯო (ს. კორეა)

**64 კგ**

1 მანუს ბუნჟუმნონგი (ტაილანდი)
2 იუდელ ჯონსონ სედენო (კუბა)
3 ბორის გეორგიევი (ბულგარეთი)
3 იონუტ გეორგე (რუმინეთი)

**75 კგ**

1 გაიდარბეკ გაიდარბეკოვი (რუსეთი)
2 გენადი გოლოვკინი (ყაზახეთი)
3 სირია პრასეტხინპხიმეი (ტაილანდი)
3 ანდრე დირელი (აშშ)

**91 კგ**

1 ოდლენერ სოლისი (კუბა
2 ვიქტორ ზუევი (ბელორუსი)
3 ნასერ ალ შამი (სირია)
3 მუჰამედ ელსაიედი (ეგვიპტე)

### აფროსნობა

**კაცები**

**„ვარსკვლავი“**

1 ბრაზილია
2 კანადა
3 საფრანგეთი

**„ტორნადო“**

1 ავსტრია
2 აშშ
3 არგენტინა

### წყალში ხტომა

**კაცები**

**ტრამპლინი. 10 მ**

1 ხუ ჯა (ჩინეთი)
2 მეტიუ ჰელმი (ავსტრალია)
3 ტიან ლიანი (ჩინეთი)

### მხატვრული ტანვარჯიში

**ქალები**

**გუნდური**

1 რუსეთი
2 იტალია
3 ბულგარეთი

### მძლეოსნობა

**კაცები**

**შუბის ტყორცნა**

| | |
|---|---|
| 1 ანდრეას ტორკილდსენი (ნორვეგია) | 86.50 მ |
| 2 ვადიმ ვასილევსკი (ლატვია) | 84.95 |
| 3 სერგეი მაკაროვი (რუსეთი) | 84.84 |

**800 მ**

| | |
|---|---|
| 1 იური ბორზაკოვსკი (რუსეთი) | 1:44,45 წთ |
| 2 მბულანი მულაუძი (ს. აფრიკა) | 1:44,61 |
| 3 ვილსონ კიპკიტერი (დანია) | 1:44.65 |

**5 000 მ**

| | |
|---|---|
| 1 ხიშამ ელ გერუჯი (მაროკო) | 13:14.39 წთ |
| 2 კენისა ბეკელე (ეთიოპია) | 13:14.59 |
| 3 ელუდ კიპჩოგე (კენია) | 13:15.10 |

**ესტაფეტა. 4X100 მ**

| | |
|---|---|
| 1 ბრიტანეთი | 38.07 წთ |
| 2 აშშ | 38.08 |
| 3 ნიგერია | 38.23 |

**ესტაფეტა. 4X400 მ**

| | |
|---|---|
| 1 აშშ | 2:55,91 წთ |
| 2 ავსტრალია | 3:00,60 |
| 3 ნიგერია | 3:00,90 |

**ქალები**

**სიმაღლეზე ხტომა**

| | |
|---|---|
| 1 ელენა სლესარენკო (რუსეთი) | 2.06 მ |
| 2 ჰესტრი კლოეტი (ს. აფრიკა) | 2.02 |
| 3 ვიქტორია სტიოპინა (უკრაინა) | 2.02 |

**1 500 მ**

| | |
|---|---|
| 1 კელი ჰოლმსი (ბრიტანეთი) | 3:57.90 წთ |
| 2 ტატიანა ტომაშოვა (რუსეთი) | 3:58,12 |
| 3 მარია ჩიონკანი (რუმინეთი) | 3:58,39 |

**ესტაფეტა. 4X400 მ**

| | |
|---|---|
| 1 აშშ | 3:19,01 წთ |
| 2 რუსეთი | 3:20,16 |
| 3 იამაიკა | 3:22,00 |

### ტაეკვონდო

**კაცები**

**80 კგ**

1 სტივენ ლოპესი (აშშ)
2 ბახრი ტენრიკულუ (თურქეთი)
3 იოუსეფ კარამი (ირანი)

**ქალები**

**67 კგ**

1 ლიუ ვეი (ჩინეთი)
2 ელიზაბეტ მისტაკიდუ (საბერძნეთი)
3 ხვონგ კიუნგ სუნი (ს. კორეა)

### ფრენბურთი

# დოღრიალა და ნაგებული
## რუსებს ბურთი დაუვარდათ

**ქალები**

**ფინალი**

**ჩინეთი 3:2 რუსეთი**

**მე-3 ადგილისთვის**

**კუბა 3:1 ბრაზილია**

ნახევარფინალში ბრაზილიასთან მკვდრეთით აღმდგარმა რუსმა დიაცებმა ბოლომდე მაინც ვერ გაიხარეს. ფინალში მათაც იგივე დაემართათ, რაც თავად შეამთხვიეს სამხრეთამერიკელებს, როდესაც 6 მატჩპოინტი გაუნიავეს. ბოლმა არ გვალაპარაკებს, მაგრამ რუსებმა მისალები მიიღეს, ფინალში გასვლაც კი ფუფუნება იყო მათთვის და ისიც აშკარად ჩანდა, რომ ჩინელებზე კარგი გუნდი ნალდად არ ჰყავდათ.

ნიკოლაი კარპოლის წერწეტა გოგონებმა ფინალის საწყისი ორი სეტი 30:28, 27:25 მოიგეს და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ოქროს მედლები არსად გაექცეოდათ. თუმცა აქ უკვე აიგო „ჩინური კედელი“, რომელსაც ჯგუფშივე გადაულახავ ბარიერად ექცია რუსებს. ვერცხლისწყალა აზიელებმა სულ ცოფები აყრევინეს დოღრიალა კარპოლს და საქმე მეხუთე გადამწყვეტ სეტამდე მიიყვანეს. ფრთაშესხმული ჩინელები აქაც აგრძელებდნენ ფრენას, ეკატერინა გამოვასა და ლიუბოვ შაშკოვასაც აღარ



ტირის ეკატერინა გამოვა

წაუვიდათ თამაში და საბოლოოდ 15:13.

ნამატჩევს, აწ უკვე პოსტიდან გადამდგარი რუსთა თავკაცი კარპოლი მეხუთე სეტის საწყის მონაკვეთს მისტიროდა — ამ დროს ხელახლა ვიპოვეთ თამაში და უცებ ისევ ავირიეთო. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები ათენში ვერცერთ სათამაშო სახეობაში ვერ გაჩემპიონდნენ.

# ბრაზილიამ იტალია დაიფრინა

**კაცები**

**მე-3 ადგილისთვის**

**რუსეთი 3:0 აშშ**

**ფინალი**

**ბრაზილია 3:1 იტალია**

ყველაფერი თავის ადგილას დალაგდა: ოქრო-ვერცხლი პატრონებს. ბრაზილიელები, ფანტასტიკური ჯგუფური მატჩისგან განსხვავებით, ახლა ოთხ სეტში მოერივნენ იტალიას. ენდრესმა, ნასიმენტომ, ფილიომ და მათმა თანაგუნდელებმა პირველი სეტი თითქმის უშრომველად — 25:15 მოუგეს, რასაც იტალიელთა საპასუხო მოჰყვა — აპენინელებმა მეორე სეტში 26:24 იძალეს.

ორივე გუნდი ყოჩაღად იდგა დაცვაში და ზოგიერთი გათამაშება 2 წუთამდეც კი გრძელდებოდა, თუმც მესამე ხელში ბრაზილიელები თავიდანვე დაწინაურდნენ, იტალიელთა ლიდერებსაც ლუიჯი მასტრანჯელოსა და ანდრეა სარტორეტის ჩვეულად ფრენის საშუალება არ მისცეს და ამ სეტის დარად (25:20), მეოთხეშიც იმარჯვეს — 25:22.

მოკლედ, ბრაზილიელებმა მინიმუმ ოთხი წლით გაიხანგრძლივეს ოლიმპიური ჩემპიონობა, ხოლო ბრინჯაოს მედლებისთვის მატჩი ვერაფერი თვალსასეირო გამოდგა — თითქმის ცარიელ დარბაზში რუსებმა ამერიკელები იოლად დაჯაბნეს.

**ილია ნანობაშვილი**

## წყალბურთი




REUTERS

რევაზ ჩომახიძემ მასპინძლებს ბრინჯაო წაართვა

# კიშ-კაშაშური საწნაული
## რეზო ჩომახიძემ რუსები ბრინჯაომდე მიაცურა

**ფინალი**

**უნგრეთი 8:7 სერბეთი**

**მე-3 ადგილისთვის**

**რუსეთი 6:5 საბერძნეთი**

ოლიმპიადის ბოლო დღეს კიდევ ერთი „უცხოელი ქართველი" დამშვენდა მედლით. მსოფლიოს საუკეთესო წყალბურთელად აღიარებულმა რევაზ ჩომახიძემ ლამის მარტომ მოუგო მასპინძელ საბერძნეთს და რუსთა ყულაბაში მორიგი მედალი ჩააჩხრიალა. „ძალიან გახარებული ვარ, რომ ნაკრების წარმატებაში ჩემი წვლილი შევიტანე. არც მესამე ადგილია ურიგო, მაგრამ ჩვენ ნამდვილად შეგვეძლო ფინალში გასვლა. ვფიქრობ, უნგრეთთან გამძლეობა არ გვეყო" — განაცხადა რუსეთის ნაკრების ქართველმა ჯილამ, რომელმაც უნგრეთთან ნახევარფინალში გაძევებით გაბრაზებულმა ბერძნებზე იყარა ჯავრი და მათი კარი 4-ჯერ დალაშქრა.

რევაზს ამ ოლიმპიადაზე 15 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ 18-გოლიან სერბ ალექსანდრ საპიჩს ჩამორჩა. ეჰ, ცოდვაა ამ კაცის რუსებში ბურთაობა, მაგრამ ქართველებს ნაკრები არა გვყავს და მის გასამტყუნებლად ენა როგორ მოგვიბრუნდება.

ფინალი კი ისეთი გამოდგა, თქვენი მოწონებული. უნგრელები ბოლო მეოთხედის დაწყებამდე 5:7 აგებდნენ, მაგრამ აქ აიწყვიტეს მათმა მთავარმეგოლეებმა — გერგელ კიშმა დუბლით ანგარიში გაათანაბრა, ხოლო საფინალო სასტვენამდე წუთნახევრით ადრე ტამაშ კაშაშმა გადამწყვეტი გაიტანა და მადიარებმა სიდნეურ ოქროს ათენურიც დაადეს ზემოდან. კიშმა სულაც „პოკერი" მიითვალა.

სერბები მეტწილად საპიჩის მწირგოლიანობამ გაწირა, რომელმაც 6-ჯერ გაისროლა უნგრელთა კარისკენ და მხოლოდ ორჯერ გაიტანა. სამხრეთ სლავთა მეკარე დენის სეფიკი მადიარულ ყუმბარებზე დელფინივით დახტოდა, მაგრამ მათთვის დანავსულ მეოთხე შვიდწუთეულში სერბები ორჯერ დარჩნენ უმცირესობაში: კაშაშმა და კიშმაც ეს უპირატესობა დედის რძესავით შეირგეს.

**ილია ნანობაშვილი**

## ხელბურთი




REUTERS

ხორვატები ათენში მოპოვებულ ერთადერთ ოქროს ხარობენ

**კაცები**

**მე-3 ადგილისთვის**

**რუსეთი 28:26 უნგრეთი**

**ფინალი**

**ხორვატია 26:24 გერმანია**

**ქალები**

**მე-3 ადგილისთვის**

**უკრაინა 21:18 საფრანგეთი**

**ფინალი**

**დანია 38:36 ს. კორეა**

მსოფლიოს ჩემპიონებმა, ხორვატმა ხელბურთელებმა კაცთა ფინალში ევროპის ჩემპიონ გერმანელებს დამაჯერებლად სძლიეს და თავიანთ სამშობლოს ათენის ოლიმპიადაზე ერთადერთი ოქრო მოუპოვეს.

გამეორდა შარშანდელი მსოფლიოს პირველობის ისტორია. მაშინაც, პორტუგალიაში სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს და ხორვატებმა სამგოლიანი უპირატესობით გაიმარჯვეს. გუშინ თავიდან ისინი დაწინაურდნენ — 2:0, მაგრამ მეტოქეებმა არა მარტო გაუთანაბრეს, შუა ტაიმში თავად გავიდნენ წინ სამი ბურთით — 8:5, მაგრამ ხორვატებმა მალე მოახერხეს ვითარების გამოსწორება. მეორე ოცდაათწუთეულში კი მათი შეჩერება გერმანელთათვის შეუძლებელი გახდა.



**ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთოთხმეტე ეტაპი**

# შვიდობაში!
## შუმახერი შვიდგზის ჩემპიონია




REUTERS ფრანკორშამიდან

„სპა ჩემი საყვარელი ტრასაა, ხოლო მონცა ჩემი „ფერარის" მშობლიური ტრეკია. ამდენად, ორივეგან მინდა გავინაღდო ჩემპიონობა, მაგრამ ვნახოთ, სად მოხერხდება" — განაცხადა მიხაელ შუმახერმა ბელგიური ეტაპის წინ.

აღვნიშნავთ, რომ ფორმულა 1-ის „მარგალიტი", არდენის მთებში ჩაკარგული ეს ულამაზესი, აღმართ-დაღმართიანი და ჩქაროსნული ტრასა სხვა პილოტებსაც მოსწონთ, მაგრამ შუმის მაინც გამორჩეულად: 1991 წელს იქ შედგა „სამეფო რბოლებში" მისი დებიუტი, მომდევნო სეზონში იქვე მოიგო პირველი დიდი პრიზი, სულ კი „სპა-ფრანკორშამზე" სარეკორდო ექვსი გამარჯვება აქვს.

რაც შეეხება რბოლის წინა სატურნირო ვითარებას, „წითელ ბარონს" მორიგი ტიტულის მოსაპოვებლად თანაგუნდელ რუბენს ბარიკელოზე სულ რაღაც ორი ქულით მეტი უნდა დაეგროვებინა. 35 წლის დიადმა გერმანელმა რუბინიოს სწორედ ამ „საპროგრამო" უპირატესობით მიასწრო ფინიშთან და მეშვიდედ გახდა უძლიერესი.

მიხაელმა პირველი ორი ტიტული (1994,95) „ბენეტონით" მოიგო, 1996 წლიდან კი ალისფერი ბოლიდის საჭეს უზის. მართალია, თავიდან ხელი მოეცარა, მაგრამ ზედიზედ ხუთი ტრიუმფით ისეთი ფანტასტიკური მიღწევა დაამყარა, რომლის გაუმჯობესებასაც ალბათ ვერავინ შეძლებს.

მთიანი ბელგიისთვის ჩვეულმა წვიმამ შაბათს კვალიფიკაციისას მრბოლელებს გვარიანად აურია დავთრები. შვიდკილომეტრიან წრეზე შედეგებიც 11-12 წამით გაუარესდა. პოულის მომგებ იარნო ტრულის ცდისას ასფალტი შედარებით მშრალი იყო, მაგრამ რამდენიმე წუთში ისევ გაწვიმდა, რამაც ყველაზე მეტად პირველ გასვლაზე საუკეთესო შედეგის მქონე შუმახერი აზარალა. მიხაელს ერთ-ერთ მოსახვევში უმცირესი შეცდომა და საჭის ოდნავ გატოკება პოულის დაკარგვად დაუჯდა, არადა, მანამდე 0,3 წამს უგებდა იტალიელს.

რბოლისას მართალია, წვეთიც არ ჩამოვარდნილა, თუმც პილოტებს თავსატეხი არ მოჰკლებიათ. ბარიკელოს ბედაურს პირველივე მოსახვევში მიუმტვრიეს უკანა სპოილერი, ათიოდ წამში კი ოთხი მანქანა შეეჯახა ერთმანეთს და ბრძოლას გამოეთიშა. ტრულიმ მეწინავეობა უფათერაკოდ შეინარჩუნა, ხოლო მის გვერდით საკმაოდ მძიმედ დაძრულ შუმახერს ფერნანდო ალონსომ და დევიდ კულჰარდმა აუარეს გვერდი, მალე კი კიმი რაიკონენმა და ხუან-პაბლო მონტოიამაც გაასწრეს. გასაგებია, ჩემპიონს კონკურენტებზე მეტი საწვავი ესხა, რაც მოგვიანებით გაირკვა, თუმც ჩანდა, რომ მისი „ფერარი" ჩვეულად ვერ დაფრინავდა.

ათი წრე ქარავანს რენოელები — ტრული და ალონსო ედგნენ თავში, მერე იარნო ბოქსებს ესტუმრა, ფერნანდოს კი ბოლიდი მიყოლებით ორ მარჯვენა მოსახვევში ორჯერ გაუსრიალდა ტრასიდან და ქვიშიან ზონაში გაიჭედა.

ახლა რაიკონენი გალიდერდა და შუა დისტანციაზე მიხაელთან უპირატესობა 13 წამამდე გაზარდა. საკმაოდ ვიწრო მოსახვევ „ავტობუსის გაჩერებაში" შესვლისას მონტოიას და ტრულის მანქანები ერთმანეთს შეეჯახნენ, ორივემ კი გააგრძელა გზა, მაგრამ „რენოს" პატრონი საბოლოოდ უქულოდ დარჩა, ხოლო „უილიამსს" ფინიშამდე 50-იოდე კილომეტრით ადრე საბურავი გაუსკდა.

ავარიების გამო ტრასაზე სამჯერ გამოვიდა უსაფრთხოების „მერსედესი", თითქოსდა „წითელი ბარონის" საშველად, რადგან ლიდერებთან მისი 10-15 წამიანი პასივი ამით ნულამდე მცირდებოდა, მაგრამ შუმახერმა ერთხელაც ვერ მოახერხა გასასწრებად იერიშის მიტანა.

რაიკონენმა ბოლომდე უნაკლოდ იჯირითა და როგორც იქნა, შეძლო წლეულს რბოლის მოგება, ხოლო 22 წლის ავსტრიელმა ახალბედა კრისტიან კლიენმა პირველი საკარიერო ქულები იშოვა.

გუშინ შეწყდა შუმახერის ზედიზედ შვიდმოგებიანი სერია, ორგზის ჩემპიონ ალბერტო ასკარის ნახევარი საუკუნის წინანდელ რეკორდამდე მას ორი დიდი პრიზი დააკლდა.

### რბოლის შედეგები

**ბელგიის დიდი პრიზი**

**29 აგვისტო. სპა-ფრანკორშამი**

დისტანცია — 44 წრე — 306,812 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1. (10) | რაიკონენი (მაკლარენი) | 1:32.35,274 (198,8 კმ/სთ) |
| 2. (2) | მ. შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 3,132 |
| 3. (6) | ბარიკელო (ფერარი) | 4,371 |
| 4. (8) | მასა (ზაუბერი) | 12,504 |
| 5. (5) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 14,104 |
| 6. (13) | კლიენი (იაგუარი) | 14,614 |
| 7. (4) | კულჰარდი (მაკლარენი) | 17,970 |
| 8. (9) | პანი (ტოიოტა) | 18,693 |
| 9. (1) | ტრული (რენო) | 22,115 |
| 10. (20) | ზონტა (ტოიოტა) | 3 წრით |
| 11. (16) | ჰაიდფელდი (ჯორდანი) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (11) | მონტოია (უილიამსი) | გაიარა 37 წრე |
| (14) | პიცონია (უილიამსი) | 31 |
| (12) | ბატონი (BAR) | 29 |
| (18) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 28 |
| (3) | ალონსო (რენო) | 11 |
| (7) | ვებერი (იაგუარი) | 0 |
| (15) | სატო (BAR) | 0 |
| (17) | ბრუნი (მინარდი) | 0 |
| (19) | პანტანო (ჯორდანი) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**

ტრული 1.56,232 (216,0 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**

რაიკონენი 1.45,108 (238,8 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | ესპანეთი 9 მაისი | მონაკო 23 მაისი | ევროპა 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | აშშ 20 ივნისი | საფრანგეთი 4 ივლისი | დ. ბრიტანეთი 11 ივლისი | გერმანია 25 ივლისი | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ. შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | 8 | | | | | 128 |
| 2 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | – | 8 | 6 | | | | | 88 |
| 3 ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | 6 | 6 | – | 4 | 5 | 8 | 4 | – | | | | | 65 |
| 4 ტრული რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | 5 | – | 5 | 5 | – | – | – | – | | | | | 46 |
| 5 ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | 4 | – | – | 8 | – | 6 | 6 | – | | | | | 45 |
| 6 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | 4 | 5 | – | | | | | 38 |
| 7 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | – | 1 | – | – | – | 4 | 3 | 2 | 8 | – | – | 10 | | | | | 28 |
| 8 კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | – | – | – | – | 3 | 2 | 3 | 2 | 5 | – | 2 | | | | | 21 |
| 9 სატო B.A.R., იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | – | – | 6 | – | – | 1 | 3 | – | | | | | 18 |
| 10 ფიზიკელა ზაუბერი, იტალია | – | – | – | – | 2 | – | 3 | 5 | – | – | 3 | – | 1 | 4 | | | | | 18 |

რ. შუმახერი (უილიამსი) — 12, მასა — 10, ვებერი — 7, პანი — 6, პიცონია — 4,
და მატა (ტოიოტა), კლიენი, ჰაიდფელდი — 3, გლოკი (ჯორდანი) — 2, ბაუმგარტნერი — 1 ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. IV ტური

**ნორვიჩი 1:4 არსენალი**

0:1 რეიესი (22), 0:2 ანრი (36), 0:3 პირესი (40), 1:3 ჰაკერბი (50პ), 1:4 ბერხკამპი (90)

ნორვიჩი: გრინი, ედუორტი, ჩარლტონი, ფლემინგი, დრური, ჯონსონი (საფრი 45), ფრანცისი, ჰოლტი, მაკვეიგი (მაკკენზი 63), დოჰერტი (სვენსონი 82), ჰაკერბი

მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი

არსენალი: ლემანი, ლორენი, ჰოიტი, ტურე, ეშლი კოული, პირესი (კლიჩი 84), ფაბრეგასი (ედუ 73), სილვა, ლიუნგბერგი, ანრი, რეიესი (ბერხკამპი 73)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: საფრი, ლორენი

მსაჯი: გ. პოლი

23 944 მაყურებელი

**ჩელსი 2:1 საუთჰემპტონი**

0:1 ბიტი (1), 1:1 ბიტი (34ს.კ.), 2:1 ლამპარდი (41პ)

ჩელსი: ჩეხი, პაულო ფერეირა, კარვალიუ, ტერი, ბრიჯი, მაკელელე (ჯერემი 90), ტიაგო, ლამპარდი, ჯ. კოული (დაფი 57), გუდიონსენი (კეჟმანი 60), დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, ლუნდეკვამი, ჰიგინბოთემი, ლე სო, ა. სვენსონი (ვან დამი 83), დელაპი, პრატონი, ფერნანდესი (ფოლი 23), ბიტი, კ. ფილიპსი (კრუჩი 70)

მწვრთნელი: სტივ ვიგლი

გაფრთხილება: დელაპი, ფილიპსი, პრატონი, ლე სო

მსაჯი: ს. ბენეტი

40 864 მაყურებელი

**ასტონ ვილა 4:2 ნიუკასლი**

1:0 მელბერგი (4), 1:1 კლუივერტი (28), 1:2 ობრაიენი (36), 2:2 კოული (53), 3:2 ბერი (71), 4:2 ანხელი (82)

ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, დელენეი, სამუელი, სოლანო, მაკკენი, ჰიტცლსპერგერი (ჰენდრი 60), ბერი, კ. კოული (ანხელი 70), ვასელი (მური 86)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

ნიუკასლი: გივენი, კარი, ჰიუზი, ობრაიენი, ბერნარდი (ელიოტი 73), ჯენასი, ბათი, ბოიერი (ამეობი 77), რობერი, კლუივერტი (შირერი 77), ბელამი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: სამუელი, სორენსენი, ჰენდრი, გივენი

მსაჯი: მ. რაილი

36 305 მაყურებელი

**ტოტენჰემი 1:0 ბირმინგემი**

1:0 დეფო (35)

ტოტენჰემი: რობინსონი, პამაროტი, ნაიბეტი, კინგი, ედმანი, ბრაუნი, დევისი, პ. მენდესი, ჯეკსონი (გარდნერი 90), დეფო (რედნაპი 86), რობი კინი (კანუტი 64)

მწვრთნელი: ჟაკ სანტინი

ბირმინგემი: მ. ტეილორი, მელხიოტი, კანინგენი, აპსონი, გრეი, გრონკიაერი, იზეტი, კლემენსი (ჯონი 79), ჯონსონი, ჰესკი, ფორსელი (მორისონი 72)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: ბრაუნი, დეფო, ჯეკსონი, მენდესი, ჰესკი

მსაჯი: მ. კლატენბურგი

35 290 მაყურებელი

**სიტი 4:0 ჩარლტონი**

1:0 ანელკა (13), 2:0 სინკლერი (34), 3:0 ანელკა (60), 4:0 რაიტ-ფილიპსი (78)

სიტი: ჯეიმსი, მილსი, დანი, დისტინი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ბარტონი (მაკმანამანი 76), რეინა, სინკლერი (მაკენი 80), ჰაულერი, ანელკა

მწვრთნელი: კევინ კიგანი

# ყველაფერს რუნი უშველის



ალან სმიტის გოლმა გრემ სუნესი განარისხა

ჩარლტონი: კილი, იანგი, ფიში, ჯ. ფორჩუნი (ელ კარკური 65), ჰრეიდარსონი, მერფი, კიშიშევი (კონჩესკი 65), იუელი, რომედალი (იოჰანსონი 65), ჯეფერსი, ლისბი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

გაფრთხილება: მერფი

მსაჯი: მ. ჰელსი

43 593 მაყურებელი

**მიდლსბრო 2:1 კრისტალ პალასი**

0:1 ჯონსონი (52პ), 1:1 პოპოვიჩი (61ს.კ.), 2:1 ჰასელბაინკი (78)

მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, საუთგეიტი, რიგოტი, კედრუ, მენდიეტა (მენეტი 55), პარლოუ, ბოატენგი, ზენდენი (დაუნინგი 56), ჰასელბაინკი, ვიდუკა

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

კრისტალ პალასი: სპერონი, ბოისი, პოპოვიჩი, ჰადსონი, გრენვილი, რუტლეჯი (კარიედესი 84), ჰალი, რიიჰილაჰტი (დერი 80), კოლკა, მ. ჰიუზი, ე. ჯონსონი

მწვრთნელი: იან დოუვი

გაფრთხილება: რიგოტი, ჰიუზი, პოპოვიჩი

მსაჯი: მ. დინი

31 560 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ოსმანი (2), 1:1 დობი (7), 2:1 ოსმანი (70)

ევერტონი: მარტინი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, პისტონე, ოსმანი, გრავესენი, კარსლი, კილბეინი, ბენტი, კ. კემპბელი (დ. ფერგიუსონი 62)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, შიმეკა, გაარდსო (ალბრეხტსენი 23), პურსი, რობინსონი (მური 64), გერა (ჰაასი 54), გრინინგი, ენდი ჯონსონი, კლემენტი, კანუ, დობი

მწვრთნელი: გარი მეგსონი

გაფრთხილება: შიმეკა

მსაჯი: პ. უოლტონი

34 510 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:1 მანჩესტერი**

1:0 დიკოვი (17), 1:1 სმიტი (90)

ბლექბერნი: ფრიდელი, ნეილი, შორტი, ამორუზო, მატეო, ტომპსონი (ემერტონი 17), ბ. ფერგიუსონი, თუგაი, პედერსენი, სტიდი (იორკი 64), დიკოვი, ნ. იოჰანსონი (71)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

მანჩესტერი: ჰოვარდი, გ. ნევილი, ოში, სილვესტრი, სპექტორი (მილერი 75), კ. რონალდო, ჯემბა-ჯემბა (ბელიონი 80), კლებერსონი (საა 45), გიგზი, სქოულზი, ა. სმიტი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: სტიდი, ამორუზო, თუგაი, კლებერსონი

მსაჯი: ა. ვაილი

26 155 მაყურებელი

**ბოლტონი 1:0 ლივერპული**

1:0 დევისი (38)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ჯაიდი, გარდნერი, ოკოჩა (იერო 85), კამპო, სპიდი, იანაკოპულოსი (ნოლანი 75), კ. დევისი (ლ. ფერდინანდი 72), პედერსენი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ლივერპული: დუდეკი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია (ტრაორე 14), რიისე, ლუის გარსია, ხაბი ალონსო, ჰამანი, უორნოკი (ჯ. სისე 45), ჯერარდი, ბაროში

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ნოლანი, იერო

მსაჯი: რენიე

27 880 მაყურებელი

**პორტსმუთი — ფულემი**

*დღეს გაიმართება*

პრემიერლიგა ჩვეული განრიგით გრძელდება, თუმცა, მისი ქართველი გულშემატკივრის და მოყვარულისთვის ამ უქმეებიდან გვარიან რამ შეიცვალა. ამ სეირის მაცქერალი კაცისთვის საკაბელო ეთერიდან გამქრალი ინგლისური შეჯიბრი კვლავ შეისყიდა რუსულმა „ენტევე პლუს ფუტბოლმა“ და 11 სექტემბრიდან, ყველა უქმეებზე ორ-ორ მატჩს გადმოსცემს.

აქამდე, პრემიერლიგის ცქერა მხოლოდ მეთეფშეებს შეეძლოთ თურქულ „ენტივიზე“, აწ კი ვითარება უფრო სახალხო და სასიხარულოც გამოვიდა.

ახლა პრემიერლიგაში მთავარი სალაპარაკო ერთი რამაა, უეინ რუნის ხვალინდელი დღე: „მანჩესტერი“ და „ნიუკასლი“ ერთმანეთს მილიონებით ებრძვიან და უპირატესობა პირველთა მხარესაა. რუნი ვარჯიშს ათ დღეში დაიწყებს. „ევერტონმა“ უმისოდაც მოიგო ამ ტურში. ბიჭი კი სწორედ შაბათს, პირველად ალაპარაკდა, წასვლა მინდა და გული უფრო „ნიუკასლისკენ“ მიმიწევსო. „ნიუკასლისკენ“ ალბათ იმიტომ, რომ სერ ბობი რობსონის ტკბილი ადამიანურობა უფრო მოსწონს, ვიდრე სერ ალექსის წამოწითლებული სახე. თუმცა, სერ ბობის მომავალი ბუნდოვანია. გასულ კვირას ინგლისური მედია მისი შესაძლო გადადგომის შესახებ წერდა, მოხუცი კი უარყოფდა.

თუკი რუნის შესაძლო წასვლით გამოწვეული მრისხანება „ევერტონის“ ქომაგებს შინგამოზრდილმა ყმაწვილმა ლეონ ოსმანმა გაუნელა ორი თავური გოლით და „ვესტ ბრომვიჩიც“ იძლია, „ნიუკასლმა“ კვლავ წააგო — ამჯერად „ვილა პარკზე“, ლია, თვალსასეირო თამაშში „ასტონ ვილასთან“. „ნიუკასლს“ ბლომად გააქვს ამ სეზონში და ტურის წინ ამ მაჩვენებელში მეორე იყო, ოღონდაც სერ ბობიმ სკამზე დასვა ალან შირერი (რომელიც მხოლოდ ბოლო 13 წუთს გამოჩნდა მინდორზე) და კირონ დაიერი, 1:0, 1:1, 1:2, 2:2, 3:2... ასე აგებდა „ნიუკასლი“, საგოლე კროსები კი თითქმის ყველა მისგან გაყიდულ ნოლბერტო სოლანოსი იყო — ბოლოს კი შეაგდო ხუან პაბლო ანხელმა მეოთხე შეაგდო.

მოკლედ, ყველაფერს რუნი უშველისო, ასე ფიქრობენ ნიუკასლში და ასევე ფიქრობს სერ ალექსიც. „მანჩესტერი“ ისეთი ველარ არის და მენეჯერი აცხადებს, რუნი მინდა, რათა ისეთი გუნდი შევქმნა, 1999 წელს რომ მყავდაო. „ბლექბერნი“ კი მთელს 92 წუთს უგებდა „მანჩესტერს“ — პოლ დიკოვმა ზღაპრული სილამაზის გოლი გაიტანა: მკერდით ჩამოიღო და ძირს დაუშვებლად ჩააჭედა კარში. ცაციათი, ისევე როგორც წინა ტურში, „მანჩესტერს“ ახლაც ალან სმიტმა უშველა: ბურთი შეტენა კარში. თუმცა, „ივუდ პარკმა“ დაინახა, რომ ლუი საამ ხელი იხმარა, რათა ბურთი სმიტისთვის მიეწოდებინა. ფანობა შოკში აღმოჩნდა — მსაჯმა ალან ვაილიმ ხელი არ აღნიშნა. „მანჩესტერიც“ გადაურჩა სამი თამაშიდან ორ წაგებას. გრემ სუნესი სასტიკად განრისხდა, თანაც „ბლექბერნი“ ათი კაცით იყო: ლორენცო ამორუზო სწორედ საას დამტვრევისთვის გააძევეს.

„არსენალმა“ სტუმრად მოუგო „ნორვიჩს“ 4:1. ტიერი ანრი კვლავ ზღაპრულ ფორმაშია და აღარც გაგახსენდება, როგორ ჩაავდო ევროპის ჩემპიონატი. მისი ყოფილი სანაკრებო დამრიგებელი ჟაკ სანტინი კი დირექტორ ფრანკ არნესენთან ერთად საუცხოოდ აშენებს ახალ „ტოტენჰემს“, რომელმაც ჯერმენ დეფოს გოლით კვლავ მოიგო, ამჯერად „ბირმინგემთან“. თამაშს სვენ გორან ერიკსონიც ესწრებოდა — სწორედ დეფოს საცქერლად. ჰოდა, იმანაც, ორი კაცი ჩამოიტოვა და ისე გაიტანა. უპატრონოდ შეენარჩუნა „საუთჰემპტონმა“ [illegible] „ჩელსის“ უკვე მეოთხე [illegible] გაუტანა [illegible] ბიტს კოხტა გოლი კი გამოუვიდა, მაგრამ ეჰ, მერე თავის კარშიაც შეაგდო მასპინძელთა კუთხურის შემდეგ, რითაც ზღვისპირელებმა წააგეს, რადგან ავტოგოლს ფრენკ ლამპარდის ზუსტი პენალტი მოჰყვა. ასე იყო თუ ისე, ჟოზე მაურინიუმ პირველი გოლი გაუშვა სეზონში და ქულებით კვლავ გაუსწორდა „არსენალს“.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ჩემპიონატი. V ტური

**ჯილინგემი 0:1 ქუინზ პარკი**

0:1 ბინი (29)

**ბრაიტონი 1:0 პრესტონი**

1:0 ბრუმსი (30ს.კ.)

**კარდიფი 0:1 სტოკი**

0:1 ნოელ-უილიამსი (37)

**დერბი ქაუნთი 2:4 ქრიუ**

0:1 ჯონსი (5), 0:2 ვუგანი (12), 1:2 თუდგეი (16), 2:2 იდიაკესი (46), 2:3 აშტონი (74), 2:4 ჯონსი (83)

**მილუოლი 1:0 რედინგი**

1:0 დიჩიო (79)

**ნოტინგემი 1:4 ქოვენთრი**

0:1, 0:2 მორელი (41, 52), 0:3 ე. ჯონსონი (59), 0:4 ჰიუზი (70), 1:4 დ. ჯონსონი (74)

**როტერჰემი 0:2 იფსვიჩი**

0:1, 0:2 კუქი (43, 47)

**სანდერლენდი 1:1 უიგანი**

0:1 რობერტსი (18), 1:1 ელიოტი (82)

**უოტფორდი 3:1 პლიმუთი**

0:1 ევანსი (18), 1:1 ერდლი (33), 2:1, 3:1 ვებერი (46, 58)

**ვესტ ჰემი 1:0 ბარნლი**

1:0 ნოულენდი (62)

**ვულვერჰემპტონი 1:1 ლესტერი**

0:1 სკოუკროფტი (4), 1:1 მილერი (52)

**შეფილდი 2:0 ლიდსი**

1:0 უარდი (50), 2:0 ჰარლეი (64)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიგანი | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| სტოკი | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| იფსვიჩი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| პლიმუთი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:4 | 10 |
| მილუოლი | 5 | 3 | 1 | 1 | 4:2 | 10 |
| ვესტ ჰემი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:5 | 10 |
| უოტფორდი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:4 | 9 |
| რედინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:4 | 9 |
| შეფილდი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| ქოვენთრი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:5 | 7 |
| ბარნლი | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| დერბი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:9 | 6 |
| ჯილინგემი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| ქრიუ | 5 | 1 | 2 | 2 | 11:12 | 5 |
| სანდერლენდი | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |
| ლესტერი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| ლიდსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:5 | 5 |
| ქუინზ პარკი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | 5 |
| ვულვზი | 5 | 0 | 4 | 1 | 5:6 | 4 |
| პრესტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| ნოტინგემი | 5 | 0 | 4 | 1 | 6:9 | 4 |
| კარდიფი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| ბრაიტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| როტერჰემი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:5 | 3 |

### პირველი ლიგა. V ტური

ტრანმერი — უენსდი 4:2; ბარნსლი — ჰალი 1:2; ბლექპული — ლუტონი 1:3; ბორნმუთი — ვრექსემი 1:0; ბრედფორდი — ჩესტერფილდი 2:3; ბრენტფორდი — სტოკპორტი 3:0; კოლჩესტერი — დონკასტერი 4:1; ჰადერსფილდი — პიტერბრო 2:1; ოლდემი — მილტონი 3:0; პორტვეილი — ბრისტოლი 3:0; სუინდონი — ჰარტლპული 3:0; ტორკი — უოლსოლი 0:0

### მეორე ლიგა. V ტური

როვერსი — საუთენდი 2:1; კემბრიჯი — სუონსი 0:1; ჩელტენემი — ბოსტონი 1:0; ჩესტერი — დარლინგტონი 0:3; გრიმსბი — მანსფილდი 2:0; კიდერმინსტერი — უიკომბი 0:2; ლინკოლნი — ნოტსი 1:2; მაკლსფილდი — სკანთორპი 2:2; ნორთჰემპტონი — ლეიტონი 2:2; ოქსფორდი — შრიუსბერი 2:0; როჩდეილი — ბარი 0:3; იოვილი — რაშდენი 3:1

### კონფერენსლიგა. IV ტური

აკრინგტონი — ქროული 4:0; ალდერშოტი — ბარტონი 3:0; ბარნეტი — ნორთვიჩი 4:0; კარლაილი — ფარნბორო 7:0; დაგენემი — უოკინგი 1:1; ექსეტერი — კონვი 0:1; გრეივსენდი — იორკი 4:0; ჰერეფორდი — სტივენეიჯი 0:1; ლეი — ჰალიფაქსი 0:3; სკარბორო — მორიკომბი 1:1; ტემუორთი — ფორესტ გრინი 4:0

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 4 | 4 | 0 | 0 | 16:5 | 11 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 5 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:2 | 6 | 6 |
| 2 ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 |
| 3 ბოლტონი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 4 ტოტენჰემი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 5 მიდლსბრო | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 1 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 6 ასტონ ვილა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 7 ევერტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:6 | 0 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 8 ჩარლტონი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:9 | -3 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | -7 | 0 |
| 9 სიტი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 10 ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 მანჩესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 12 ლივერპული | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 13 ბირმინგემი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | -1 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 |
| 14 ვესტ ბრომვიჩი | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 15 საუთჰემპტონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 16 ნიუკასლი | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 4:6 | -2 | 1 |
| 17 ნორვიჩი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:9 | -4 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | -3 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 18 ბლექბერნი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | -4 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 19 პორტსმუთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 20 კრ. პალასი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 4 |
| რეიესი (არსენალი) | 4 |

### V ტური

11-12-13 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | ჩელსი |
| ბოლტონი | : | მანჩესტერი |
| ფულემი | : | არსენალი |
| ლივერპული | : | ვესტ ბრომვიჩი |
| სიტი | : | ევერტონი |
| მიდლსბრო | : | ბირმინგემი |
| ნიუკასლი | : | ბლექბერნი |
| პორტსმუთი | : | კრ. პალასი |
| ტოტენჰემი | : | ნორვიჩი |
| ჩარლტონი | : | საუთჰემპტონი |

## გერმანია

### ბუნდესლიგა. III ტური

**ფრაიბურგი 1:1 მიონხენგლადბახი**

1:0 ანტარი (28), 1:1 ნოივილი (78)
ფრაიბურგი: გოლცი, ოლაიენგბეზი (მ. მიულერი 41), დიარა, მოჰამადი, ვილი, რაიტერი, ცქიტიშვილი, სანუ (ბერნერი 57), კულიბალი, ანტარი, იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
მიონხენგლადბახი: კამპა, კორზინეცი, პლეტჩი, შტრასერი, ჰაუსვაილერი, გაედე (კარნელი 46), ციგე, ულიხი (ვან ჰუტი 65), ფროიხი (კლუგე 80), ჰაინცი, ნოივილი
მწვრთნელი: ჰოლგერ ფახი
გაფრთხილება: ჰაუსვაილერი, ციგე, კარნელი
მსაჯი: შტარკი
25 500 მაყურებელი

**ლევერკუზენი 4:1 ბაიერნი**

1:0 ბერბატოვი (20), 2:0, 3:0 ფრანცა (52, 57), 4:0 ბერბატოვი (59), 4:1 ბალაკი (84)
ლევერკუზენი: ბუტი, შნაიდერი, ჟუანი, როკე ჟუნიორი, პლასენტე, ფრაიერი (ბიროფკა 67), რამელო, კრჟინოვეკი, პონტე (ბალიტჩი 69), ფრანცა (ბაბიჩი 84), ბერბატოვი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, ლუსიო (დემიკელისი 60), ლინკე, ჰარგრივსი, ფრინგსი, დაისლერი, ბალაკი, ზე რობერტო (რ. კოვაჩი 61), სანტა კრუზი, მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: რამელო, პონტე, ლინკე
მსაჯი: ფანდელი
22 500 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 2:3 შტუტგარტი**

0:1 კურანი (31), 1:1 ზაიცი (35), 2:1 იანკერი (38), 2:2, 2:3 კურანი (54, 81)
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ლემბი, ჰერჩი, ვენცელი, დრეშერი, რიდლი, ნერლინგერი, მიკიჩი, ზანდი (ჰალილ ალტინტოპი 69), ზაიცი, იანკერი (ტებერი 79)
მწვრთნელი: კურტ იარა
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, შტრანცლი, ფერნანდო მეირა (ბაბელი 46), ლამი, სოლდო, მაისნერი, გლები, ჰელდტი (ტიფერტი 69), კურანი, საბიჩი (ვრანიეში 84)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: იანკერი, ზანდი, ნერლინგერი
მსაჯი: ვოკი
37 828 მაყურებელი

**ჰამბურგი 4:3 ნიურნბერგი**

1:0 ვან ბუიტენი (12), 1:1 მინტალი (38), 2:1 შლიჩკე (40), 3:1 მპენზა (51), 3:2, 3:3 მინტალი (76, 83), 4:3 ლაუტი (86)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, შლიჩკე, ვან ბუიტენი, დ. რაინჰარდტი, ვიკი, მაჰდავიკია, იაროლინი (ბრეცკო 89), ბაინლიხი, რანი (კლინგი 56), ბარბარესი (ლაუტი 73), ე. მპენზა
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
ნიურნბერგი: შაფერი, ა. ვოლფი, ჰაიტო, ბოსაჩკი, ვიბლიშაუზერი (კეტელაერი 72), შ. მიულერი (კესლინგი 79), ლარსენი, მინტალი, ბანოვიჩი (ლ. მიულერი 59), ვიტეკი, შროტი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: ბაინლიხი, ჰაიტო, მინტალი, ლარსენი
მსაჯი: მერკი
36 587 მაყურებელი

**ჰერტა 1:1 მაინცი**

1:0 ბობიჩი (68), 1:1 კრამნი (78)
ჰერტა: ჰიდლერი, ო. შრიოდერი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ჰარტმანი (ბობიჩი 46), ტ. მარქსი (მადლუნგი 83), ნ. კოვაჩი, დარდაი, ჟილბერტო (ფატი 74), მარსელინიო, ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
მაინცი: ვახე, ნიკოლიჩი, ა. ფრიდრიხი, ბოდოგი, როსე, ფ. გერბერი, ბაბატცი, და სილვა (კრამნი 72), დ. ვაილანდი (იოვანოვიჩი 77), ნ. ვაილანდი (ვებერი 72), კეისი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: შიმუნიჩი, კეისი
მსაჯი: ბრიხი
39 302 მაყურებელი

**შალკე 0:2 ჰანზა**

0:1, 0:2 დი სალვო (33, 77)
შალკე: ფ. როსტი, ვალდოხი, ბორდონი, კრსტაიჩი, უდე კამპუისი (ვარელა 65), პოულსენი (ჰანკე 54), ვერმანტი, პანდერი, ჰამიტ ალტინტოპი, ასამოა (დელურა 65), აილტონი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ჰანზა: შობერი, მიორლე, პერსონი, კ. მადსენი, ტიკუზუ, მაული (მელკამი 62), ლანტცი (ადუბე 84), ტ. რასმუსენი, რიდლევიჩი, არვიდსონი (პრიკა 71), დი სალვო
მწვრთნელი: იური შლიუნცი
გაფრთხილება: პანდერი, ვარელა, მაული, დი სალვო
გაძევება: აილტონი (45)
მსაჯი: მეიერი
60 790 მაყურებელი

**არმინია 1:2 ბოხუმი**

0:1 ზდებელი (31), 1:1 ბაკლი (87), 1:2 დიაბანგი (90)
არმინია: ჰაინი, ლენსე, ფორგესი, გაბრიელი, შულერი (დურო 74), კაუფი, დამეიერი (მ. მარიჩი 60), ოვომოიელა, შკელა, ბაკლი, კიუნცელი (ვატა 60)
მწვრთნელი: უვე რაპოლდერი
ბოხუმი: ვან დიუნჰოვენი, კოლდინგი, კალა, კნავსი, პ. ბონიგი, მალტრიცი, ზდებელი (მაიხელბეკი 88), ვოში (დიაბანგი 57), პროისი, ლოკვენცი, პ. მადსენი (მისიმოვიჩი 67)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
გაფრთხილება: ჰაინი, პროისი, მადსენი
გაძევება: პროისი (62)
მსაჯი: ფლეიშერი
18 567 მაყურებელი

**დორტმუნდი 1:1 ჰანოვერი**

1:0 როსიცკი (29), 1:1 მერტესაკერი (90)
დორტმუნდი: ვარმუზი, ევანილსონი, დემელი, ვიორნსი, ნ. იენსენი, ოლისე, კელი, როსიცკი, დედე, ევერტონი (გამბინო 90), კოლერი
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ჟურავი, ტარნატი, ლალა, დე გუზმანი, მატისი (ლეანდრო 64), რიკარდო სოუზა (კრუპნიკოვიჩი 80), შტაინერი, სტენდელი (კრისტიანსენი 64)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ოლისე, დედე, იენსენი, დე გუზმანი
მსაჯი: კესლერი
74 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:2 ვოლფსბურგი**

0:1 ბრდარიჩი (46), 0:2 ტიამი (53), 1:2 კლოზე (71)
ვერდერი: რაინკე, პასანენი, ისმაელი, ფარენჰორსტი, გუსტავო ნერი, ბაუმანი, ბოროვსკი (ვალდესი 65), ფ. ერნსტი (ხარისტიასი 55), მიკუ, კლოზე, კლასნიჩი
მწვრთნელი: თომას შააფი
ვოლფსბურგი: იენჩი, კიროგა, შნური (მენსეგეზი 79), ჰოფლანდი, რიტერი, კარჰანი, სარპეი (ბილიშკოვი 83), ტიამი, ვაიზერი, ბრდარიჩი, კლიმოვიჩი (ტოპიჩი 77)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ისმაელი, გუსტავო ნერი, შნორი
მსაჯი: იანსენი
40 000 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 2 შტუტგარტი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 3 ვერდერი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 |
| 4 ვოლფსბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 6 |
| 5 ბოხუმი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 1 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 6 ფრაიბურგი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 7 ნიურნბერგი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:6 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 3 |
| 8 დორტმუნდი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 9 მაინცი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | -1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | -2 | 1 |
| 10 ბაიერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | -1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | -1 | 3 |
| 11 ჰანზა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 |
| 12 ჰერტა | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 0 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 ჰამბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 14 შალკე | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 15 გლადბახი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | -1 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 16 ჰანოვერი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 |
| 17 არმინია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 18 ლაუტერნი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:8 | -4 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |

# ფარმაცევტებმა ბაიერნი მოწამლეს



REUTERS ლევერკუზენიდან

დიმიტარ ბერბატოვმა ოლივერ კანი ორი გოლით დაასაჩუქრა

ორი კვირის წინ „ბაიერნმა" შინ „ჰერტას" რომ ვერ მოუგო, მაშინვე გამოჩნდა — ფელიქს მაგათის გუნდი მოიკოჭლებს. „ბაიერნის" სისუსტეები ლევერკუზენში „ბაიერმა" უკეთესად გამოავლინა, როცა მეორე ტაიმის რვაწუთიან მონაკვეთში მეტოქეს სამი გოლი გაუტანა. „გუნდმა ითამაშა ის ფეხბურთი, რომელსაც ვითხოვდი" — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა კლაუს აუგენტალერმა.

„ფარმაცევტებმა" წაუგებელ მატჩთა სერია 14-მდე გაზარდეს. დიმიტარ ბერბატოვმა ანგარიში ფრანცას პასით გახსნა, მეორე ტაიმში კი მათ როლები გაცვალეს და ბულგარელმა ბრაზილიელს ვალი დაუბრუნა. ფრანცამ თხუთმეტიოდე მეტრიდან ბურთი ძელს მოარტყა, მაგრამ თავადვე მიუსწრო და ოლივერ კანს შანსი არ დაუტოვა. ამას მოჰყვა კიდევ ორი გოლი და „ბაიერნის" განადგურება. „მეორე ტაიმში სწრაფად გაშვებული გოლის შემდეგ ჩემი გუნდი დანებდა, ოღონდ უნდა აღვნიშნო, რომ „ბაიერი" შეუდარებელი იყო" — განაცხადა დამარცხებულთა თავკაცმა ფელიქს მაგათმა.

„ჰამბურგის" მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი სამუშაოს დაკარგვისგან ბენჟამინ ლაუტმა იხსნა. მასპინძლები „ნიურნბერგთან" დანიელ ვან ბუიტენის გოლით დაწინაურდნენ, ხოლო მარეკ მინტალმა გაათანაბრა. ბიორნ შლიჩკემ ტაიმის მიწურულს მცველების მოგერიებული ბურთი დააბრუნა კარში და „ჰამბურგი" კვლავ წინ გაიყვანა. შესვენების შემდეგ ემილ მპენზამ იხეირა და მასპინძელთა გამარჯვებას თითქოს აღარაფერი ემუქრებოდა, მაგრამ მინტალი იშტაზე იყო. ჯერ თავური დარტყმით გაქვითა ერთი, ხოლო მოგვიანებით საჯარიმოს ხაზიდან გაისროლა საგოლედ. „ჰამბურგის" შეტევისას მცველმა ბოზაცკიმ საჯარიმოდან მეკარის მოგერიებული ბურთის გატანა სცადა, მაგრამ ბენჟამინ ლაუტს შეაჩერა და მანაც ახლოდან შეაგდო. „ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი სამი ქულაა" — თქვა ტოპმიოლერმა.

გელზენკირხენში „შალკე" აილტონმა პირველი ტაიმის მიწურულს „დაამბლა", რადგან როსტოკელ ფეხბურთელს ეუხეშა და მსაჯმა გააძევა. გაძევებამდე „ჰანზა" უკვე იგებდა ანტონიო დი სალვოს გოლით, რომელიც ჰამიტ ალტინტოპის შეცდომას მოჰყვა. სტუმართა მეკარე მათიას შრობერმა მთელი მატჩის განმავლობაში ყოჩაღად ითამაშა და ბევრი ბურთი გამოაძრო. დი სალვომ მეორე ნახევარში რენე რიდლევიჩის პასით კიდევ ერთი გაიტანა და გელზენკირხენიდან სამი ქულა წაიღო.

მათიას ზამერს კაიზერსლაუტერნში დისკვალიფიცირებული მეგოლე კაკაუ არ ჰყავდა, მაგრამ კევინ კურანიმ ჰეთ თრიქი შეასრულა და მასპინძლებს მიჯრით მესამე მარცხი გაუფორმა.

პირველი გოლი კურანიმ იოლად გაიტანა, რადგან თამაშგარის გამო გვერდითი მსაჯის აწეული ალამი მთავარმა არბიტრმა არად ჩააგდო და გაჩერებული მასპინძლები სტუმართა ფორვარდმა დასაჯა. „კაიზერმა" უცბად შეძლო ორი გოლის შეგდება და დაწინაურდა, მაგრამ შესვენების შემდეგ ზამერის შეგირდებმა იძალეს. კურანიმ ჯერ ძელიდან უკუგდებულს დაამატა საგოლედ, მერე კი იმრე საბიჩის პასი შეირგო.

„მაინცმა" იურგენ კრამნის ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმის წყალობით ბერლინიდან ქულა წაიღო. ანგარიში შეცვლაზე შესულმა მასპინძელმა ფრედი ბობიჩმა გახსნა, მაგრამ „ჰერტას" ზეიმი ათიოდ წუთი გაგრძელდა. კრამნიმ საჯარიმოს ხაზიდან ბურთი კედელს გადაავლო და მეკარე კრისტიან ჰიდლერი პირლია დატოვა.

„ბოხუმმა" ბუნდესლიგის ახალწვეულ „არმინიას" სტუმრად სძლია და პირველი საამსეზონო მატჩი მოიგო. ბოხუმელმა ტომაშ ზდებელმა 31-ე წუთზე კუთხური საუცხოოდ შეასრულა — ბურთი პირდაპირ კარში ჩასვა. დელრონ ბაკლიმ შეხვედრის დასრულებამდე სამი წუთით ადრე ასევე საამო გოლით გაათანაბრა — დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან გაიტანა, მაგრამ „ბოხუმის" მამადუ დიაბანგმა ბოლო წუთზე მასპინძლებს სამი ქულა წაჰგლიჯა.

„ფრაიბურგი" ჯერჯერობით დაუმარცხებელია. ფოლკერ ფინკეს შეგირდები მიონხენგლადბახელ მეტოქეს როდა ანტარის გოლით უგებდნენ, მაგრამ გოლცისა და მცველების შეუთანხმებლობით ოლივერ ნოივილმა ისარგებლა და გაათანაბრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| IV ტური | | |
|---|---|---|
| 11 სექტემბერი | | |
| მაინცი | : | ლევერკუზენი |
| ბაიერნი | : | არმინია |
| ბოხუმი | : | დორტმუნდი |
| ჰანოვერი | : | ფრაიბურგი |
| გლადბახი | : | ვერდერი |
| ვოლფსბურგი | : | შალკე |
| ჰანზა | : | ლაუტერნი |
| შტუტგარტი | : | ჰამბურგი |
| ნიურნბერგი | : | ჰერტა |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კაკაუ (შტუტგარტი) | 4 |
| ფრანცა (ლევერკუზენი) | 3 |
| ბერბატოვი (ლევერკუზენი) | 3 |
| მინტალი (ნიურნბერგი) | 3 |
| კურანი (შტუტგარტი) | 3 |
| ბრდარიჩი (ვოლფსბურგი) | 3 |

## მეორე ბუნდესლიგა

### III ტური

**ალემანია 4:0 კარლსრუე**
1:0 როტენბახი (10), 2:0 ბლანკი (33), 3:0 მიხალკე (56), 4:0 ოსვალდი (74)

**მიუნხენი 2:0 ტრირი**
1:0 გებჰარდტი (31), 2:0 კოლომაენიკი (53)

**ესენი 0:0 ერფურტი**

**დინამო 1:1 ბურგჰაუზენი**
0:1 იოუნგა (33), 1:1 ოსვალდი (90)

**ფიურტი 1:0 აუე**
1:0 ვესტერმანი (10)

**ობერჰაუზენი 0:2 დუისბურგი**
0:1 კურტი (4), 0:2 აჰანფუფი (55)

**ზაარბრიუკენი 0:0 კოტბუსი**

**ალენი 1:2 უნტერჰახინგი**
0:1 აჯიჩი (33), 1:1 სოპიჩი (58), 1:2 კოპადო (75)

**კიოლნი — აინტრახტი**
დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| აუე | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| დუისბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ალემანია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| ბურგჰაუზენი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ერფურტი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| კოტბუსი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| აინტრახტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| მიუნხენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| უნტერჰახინგი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ტრირი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ობერჰაუზენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ესენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:6 | 2 |
| ალენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |
| კიოლნი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| ზაარბრიუკენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| კარლსრუე | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

### VI ტური

დორტმუნდი (მ) — კილი 0:2; ქემნიცი — იურდინგენი 0:0; პადერბორნი — ოსნაბრიუკი 2:1; ლიუბეკი — ჰერტა (მ) 2:0; ვერდერი (მ) — ვოლფსბურგი (მ) 2:0; ვუპერტალი — ფორტუნა 0:0; მიუნსტერი — ბრაუნშვაიგი 0:5; უნიონი — ჰამბურგი (მ) 1:2; არმინია (მ) — კიოლნი (მ) 4:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

### IV ტური

ნოტინგენი — ფოიხტი 0:0; რეგენსბურგი — ოფენბახი 1:2; კიკერსი — მაინცი (მ) 0:2; ბაიერნი (მ) — ვეენი 0:0; ჰოფენჰაიმი — კობლენცი 1:3; ზიგენი — აუგსბურგი 0:0; შტუტგარტი (მ) — ფულენდორფი 4:1; დარმშტადტი — აალენი 4:1

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი. I ტური

### ესპანიოლი 1:1 დეპორტივო

1:0 ტამუდო (23პ), 1:1 პანდიანი (78)
ესპანიოლი: კამენი (ბილი 70), ჟარკი, ლოპო, პოჩეტინიო, დავიდ გარსია, იტო, დე ლა პენია, დანი (ალექსი 61), მაქსი (ფრედსონი 82), ოსკარ სერანო, ტამუდო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო (სკალონი 73), ანდრადე, სეზარი (მუნიტისი 63), რომერო, მაურო სილვა (დუშერი 31), სერხიო, ვალერონი, ვიქტორი, ლუკე, პანდიანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: მოლინა, პოჩეტინიო, ვიქტორი, სერანო, სეზარი, დე ლა პენია, ტამუდო, პანდიანი
მსაჯი: ანტონიო პერესი
25 000 მაყურებელი

### ატლეტიკო 2:0 მალაგა

1:0 კალატო (44ს.კ.), 2:0 ტორესი (48)
ატლეტიკო: ლეო ფრანკო, პერეა, პაბლო, გარსია კალვო, სერხი, სიმეონე (ლუქსენი 62), კოლსა, ხორხე (სალვა 61), იბაგასა, მუსამპა (ანტონიო ლოპესი 80), ფ. ტორესი
მწვრთნელი: სესარ ფერნანდო ხიმენესი
მალაგა: კალატო, ალექსისი, ფერნანდო სანსი, ხუანიტო, ვალკარსე, მანუ, მიგელ ანხელი, ლეკო (ედგარი 55), დუდა (ლუკე 78), ხუან როდრიგესი, გეიხო (ამოროზო 55)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: სერხი, სალვა, ლეკო, სანსი, დუდა, როდრიგესი
მსაჯი: იტურალდე გონსალესი
54 000 მაყურებელი

### ნუმანსია 1:1 ბეტისი

1:0 ხუანლუ (21), 1:1 ფერნანდო (47)
ნუმანსია: ნუნიესი, პინიოლი, ხაიმე მოლინა, ოჩოა, გრაფი, მარიო როსი, პალასიოსი, ველასკო, ტევენეტი (მერინო 66), ხუანლუ (მიგელ პერესი 38), ტოჩე (პინედა 34)
მწვრთნელი: ფრანსისკო ლოპეს ალფარო
ბეტისი: პრატსი, მელი, ხუანიტო, ლემბო, კასტელინი, ასუნსაო, ხოაკინი, ფერნანდო (კაპი 68), არსუ, ისმაელი, ოლივეირა (ალფონსო 68)
მწვრთნელი: ლორენსო სერა ფერერი
გაფრთხილება: პერესი, გრაფი, ასუნსაო, მელი, ისმაელი
მსაჯი: ლისონდო კორტესი
10 000 მაყურებელი

### ოსასუნა 1:1 ბილბაო

0:1 ეჩებერია (17), 1:1 მილოშევიჩი (41)
ოსასუნა: სანსოლი, ისკუერდო, კრუჩაგა, ხოსეტო, კორალესი, ორტისი (მუნიოსი 75), პუნალი, პაბლო გარსია, მოპა (დელპორტე 86), ვებო (კუელარი 52), მილოშევიჩი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ბილბაო: არანსუბია, ირაოლა (ხავი გონსალესი 65), გურპეგი, ლუის პრიეტო, დელ ორნო, ტიკო (ი. ანგულო 75), ორბაისი, ეჩებერია, ხონანი (ურსაისი 59), იესტე, ესკეროა
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
გაფრთხილება: ხოსეტო, მილოშევიჩი, პაბლო გარსია, პუნალი, ირაოლა, იესტე, ორბაისი, ხავი გონსალესი
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
19 000 მაყურებელი

### მალიორკა 0:1 რეალი

0:1 რონალდო (51)
მალიორკა: მოია, კორტესი (ბალესტეროსი 73), მიულერი, ნინიო, პოლი, კამპანო, პერეირა, დე ლა ფუენტე (დელიბაშიჩი 66), ვალესი, ლუის გარსია (ხორხე ლოპესი 66), არანგო
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ბრავო, რობერტო კარლოსი, ელგერა, ბექემი, ფიგუ, რაული (ოუენი 24), ზიდანი (გუტი 80), რონალდო (მორიენტესი 86)
მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამაჩო
გაფრთხილება: ბრავო, ფიგუ, ვალესი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
23 000 მაყურებელი

### სარაგოსა 3:1 ხეტაფე

0:1 ანტონიო (16), 1:1 ალვარო (23), 2:1 სავიო (62), 3:1 ალვარო (79)
სარაგოსა: ლუის გარსია, კუარტერო, ალვარო, მილიტო, ტოლედო (არანსაბალი 17), მოვილია, ზაპატერი (სორიანო 58), გალეტი, ხავი მორენო, სავიო (ჩანი 75), ვილა
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
ხეტაფე: სანჩესი, ოტელო, ნანო, კენა, პერნია, გალარდო, დორადო, რივასი, ანტონიო, პაჩონი, იორდი (კრაიოვეანუ 60)
მწვრთნელი: ენრიკე კიკე ფლორესი
გაფრთხილება: სანჩესი, რივასი, გალარდო, პერნია, სავიო
მსაჯი: მიგელ ანხელ ლასა
30 000 მაყურებელი

### სევილია 1:0 ალბასეტე

1:0 რენატო (47)
სევილია: ესტებანი, ალვესი, პაბლო, ხავი ნავარო, დავიდი, ფერნანდო სალესი, კასკერო (რენატო 46), მარტი, ხესული (ხესუს ნავასი 87), ჟულიო ბაპტისტა, დარიოს სილვა (არანდა 60)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ალბასეტე: ვალბუენა, ოსკარ მონტიელი, ბუადესი, რუბენი, პენა, ალვარო (დავიდ სანჩესი 73), მინგო (ჯერონიმო მომო 57), რედონდო, პაჩეკო, ვო, ფრანსისკო (რუბენ კასტრო 57)
მწვრთნელი: ხოსე გონსალესი
გაფრთხილება: ვო, ბოედასი, დარიოს სილვა, მარტი
მსაჯი: პუენტეს ლეირა
45 000 მაყურებელი

### სოსიედადი 1:1 ლევანტე

0:1 პარტი (43), 1:1 ნიჰათი (47)
სოსიედადი: რიესგო, რეკარდე, ბრეშე, ხაურეგი, გარიდო, არტეტა, ალკისა, გაბილონდო (არანბურუ 63), კარპინი (ხაბი პრიეტო 76), კოვაჩევიჩი (დე პაულა 76), ნიჰათი
მწვრთნელი: ხოსე მარია ამორორტუ
ლევანტე: მორა, პინილიოსი, მიალბი, კულებრასი, პარტი, კამაჩო, რივერა, ნაჩო (რუბლესი 84), ეტიენი, კუელარი (სანდრო 80), რეგი (კონგო 73)
მწვრთნელი: ბერნდ შუსტერი
გაფრთხილება: ალკისა, ხაურეგი, ნიჰათი, კამაჩო, ნაჩო, პინილიოსი
მსაჯი: კარმონა მენდესი
25 000 მაყურებელი

რასინგი — ბარსელონა წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-15 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის

### რასინგი 0:2 ბარსელონა

0:1 ჟიული (57), 0:2 ეტოო (73)
რასინგი: აუატი, კრისტიანი, კასანი, მორატონი, აიოზე, ნაფტი, ანდერსონი (მორანი 53), მატეო (პარი 71), ბენაიუნი, რეგუეირო, ხავი გერერო (აგანსო 68)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
ბარსელონა: ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, მარკესი, ვან ბრონკჰორსტი (ოლეგერი 45), ხავი, მოტა, დეკო, ჟიული, ეტოო, ლარსონი (ინიესტა 62)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: კასარი, აგანსო
მსაჯი: ალბერტო მალენსო
20 000 მაყურებელი

### ვალენსია — ვილიარეალი

*დღეს გაიმართება*

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სარაგოსა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 3 ატლეტიკო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 5 სევილია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 დეპორტივო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 7 ნუმანსია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 სოსიედადი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 ოსასუნა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 10 ბეტისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 11 ბილბაო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 ლევანტე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 13 ესპანიოლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 14 ვალენსია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 15 ვილიარეალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 16 ალბასეტე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 17 მალიორკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 18 ხეტაფე | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |
| 19 მალაგა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 20 რასინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

# ესპანური პირველი და ბექემის მესამე

პრიმერადივიზიონში ახალი სეზონი ვისთვის საამო, ვისთვის კი უინტერესო ცნობით დაიწყო: მისტერ და მისის ბექემებმა ქვეყანას ამცნეს, რომ ოდინდელ სჯაის-გოგოთაგან ყველაზე იღბლიანად გათხოვილი მარტში მესამე შვილს ელოდება.

ვიქტორია ადამსის ფეხმძიმობის მიმდინარეობაზე ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევიტყობთ ცინცხალ ცნობებს, რაკილა ბრიტანული და ესპანური ტაბლოიდები ამ ამბავს უგულისყუროდ არ მოეკიდებიან, ქვევით კი იმაზე ვილაპარაკოთ, რითი იყო დაკავებული დევიდ ბექემი, როცა მისი ცოლი ჟურნალისტებს საყვითელპრესო სიახლეზე უამბობდა.

ამ დროს ბექემი და მისი თანაგუნდელები პრიმერადივიზიონის პირველი ტურის მატჩში მალიორკაზე იბრძოდნენ და ძველჟურნალისტური ენით რომ ვთქვათ, მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. დამხვდურთაგან ჩინებული მომენტები ჰქონდათ დავიდ კორტესს და მარკო ვალესს, რომელთაც იკერ კასილიასმა და დაცვაში მისმა დამხმარე ფრანსისკო პავონმა არ დაანებეს გატანა. მომხვდურთაგან კი სახიფათო იერიშებით გამოირჩნენ ლუიშ ფიგუ და მაიკლ ოუენი.

ოღონდაც ეგაა, რომ ოუენი სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა მოედანზე. ეგებ ხოსე კამაჩოს ინგლისელი მეორე ტაიმისთვისაც ჰყავდა შემონახული, მაგრამ 24-ე წუთზე კაპიტნის, რაულის ტრავმამ ყოფილი „ოქროს ბიჭუნა" ნაადრევად ჩართო თამაშში და საბოლოოდ საგოლე პასის მიმცემად შეიქნა. გამარჯვების გოლის ავტორობა კი რონალდოს ერგო. ხოლო ზოგადად შეგვიძლია დავძინოთ, რომ „რეალს" გადასარევად არ უთამაშია, თუმცა წინა სეზონის საზიზღარი ფინიშის გათვალისწინებით, ახალი სეზონის მოგებით დაწყებამ, ცხადია, მის გულშემატკივარს გული გაუხარა.

ლიდერი კი „სარაგოსა" გახლავთ, რომელმაც ყველაზე დიდი ანგარიშით დაამარცხა მეტოქე, პრიმერას ახალწვეული „ხეტაფე".

საფიქრებელია, რომ სარაგოსელთა პირველობა დიდხანს არ გასტანს, მაგრამ სამეფო თასის მფლობელის და სუპერთასზე ჩემპიონ „ვალენსიას" დამჯაბვნელის ხელაღებით ჩამოწერაც სწორი არ უნდა იყოს. სარაგოსელი ალვარო კი პირველ ტურში ერთადერთი ფეხბურთელია, 'დუბლი რომ მიითვალა.

და ვინაიდან ეს პირველი ტური იყო და საამსეზონოდ ყველაფერი პირველად მოხდა, ზოგიერთი რამ გამოვარჩიოთ:




დევიდ ბექემი

— ესპანიოლელი ივან დე ლა პენია პირველი გაძევებული ფეხბურთელია;
— სეზონის პირველი გოლი ნუმანსიელმა ხუანლიმ გაიტანა;
— პირველი პენალტი „დეპორტივოს" კარში დაინიშნა და რაულ ტამუდომ შეაგდო;
— პირველი ავტოგოლის ავტორი კი უიღბლო მალაგელი ხუან კალატო გახდა.

მიმოხილვა გუშინდელი გვიანი თამაშით დავასრულოთ, მით უფრო, რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი უმთავრესი — უმთავრესი თუ არა —ფავორიტი თამაშობდა. „ბარსელონამ" სანტანდერში სძლია „რასინგს", რაც მოულოდნელი სულაც არ არის. აქ ნიშანდობლივი ის გარემოება გახლავთ, რომ გოლები კატალონიელთა ახალწვეულებმა, ლუდოვიკ ჟიულიმ და სამუელ ეტოომ გაიტანეს, რაც საზაფხულო სელექციის ·სისწორეზე მიგვანიშნებს.

**კოტე ჰეჰელია**

## სეგუნდადივიზიონი

I ტური

### პონტევედრა 0:1 პოლი ეხიდო

0:1 კალადო (65პ)

### ეიბარი 2:1 კადისი

1:0 მატეო (10), 2:0 ლორენტე (22), 2:1 მიროსალიევიჩი (50)

### ლეიდა 1:2 ფეროლი

0:1 ბარმეხო (42პ), 1:1 ნაკორი (47), 1:2 ბარმეხო (55პ)

### ტენერიფე 1:0 ელჩე

1:0 იდალგო (84)

### ალავესი 2:4 ვალიადოლიდი

0:1, 0:2, 0:3 ზუბელდია (16პ, 32, 48), 0:4 ფუენტესი (61), 1:4 ტიავი (72), 2:4 ლუკასი (89)

### ალმერია 0:1 სელტა

0:1 ხანდრო (59)

### ტარაგონა 2:0 მურსია

1:0 კოდინა (52), 2:0 ტორტოლერო (60)

### სპორტინგი 0:1 უელვა

0:1 როდრიგესი (52)

### ტერასა 3:0 სალამანკა

1:0 მაიკელი (40), 2:0 კრისტიანი (67), 3:0 მოლისტი (86)

### ხერესი 1:0 მალაგა B

1:0 პენდინი (90)

სიუდადი — კორდობა წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-15 გვერდი)

II ტური

12 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| ალბასეტე | : | ატლეტიკო |
| ბილბაო | : | ვალენსია |
| ბარსელონა | : | სევილია |
| ბეტისი | : | ესპანიოლი |
| დეპორტივო | : | ოსასუნა |
| რეალი | : | ნუმანსია |
| ხეტაფე | : | მალიორკა |
| ლევანტე | : | რასინგი |
| ვილიარეალი | : | სოსიედადი |
| მალაგა | : | სარაგოსა |

## იტალია

თასი

ვენეცია 1:3 მოდენა
არეცო 2:3 ლივორნო
ბარი 2:1 აკირეალი
კატანია 3:1 აველინო
ჩეზენა 1:1 ასკოლი
კროტონე 0:1 მესინა
ჯენოა 3:3 ტორინო
ლუმეცანე 1:1 ემპოლი
პროპატრია 2:2 ატალანტა
სალერნიტანა 2:1 კატანძარო
ტრიესტინა 4:2 ტრევიზო
ვიჩენცა 0:1 ალბინოლეფე

## ნორვეგია

ტიპელიგა

XIX ტური. სტაბეკი — ლინი 0:1; ჰამ კამი — ბრანი 2:1; მოლდე — რუსენბორგი 1:3; ოდ გრენლანდი — ვიკინგი 1:0; სოგნდალი — ფრედრიკსტადი 2:4; ვოლერენგა — ლილესტრიომი 2:0; ტრომსიო — ბოდიო გლიმტი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 19 | 11 | 6 | 2 | 42:21 | 39 |
| ტრომსიო | 18 | 10 | 2 | 6 | 30:23 | 32 |
| ვოლერენგა | 19 | 8 | 7 | 4 | 23:17 | 31 |
| ჰამ კამი | 19 | 8 | 6 | 5 | 27:26 | 30 |
| ბრანი | 19 | 9 | 2 | 8 | 33:31 | 29 |
| ლილესტრიომი | 19 | 7 | 7 | 5 | 37:24 | 28 |
| ლინი | 19 | 7 | 7 | 5 | 23:19 | 28 |
| ოდ გრენლანდი | 19 | 6 | 7 | 6 | 30:31 | 25 |
| ბოდიო გლიმტი | 18 | 7 | 3 | 8 | 25:30 | 24 |
| მოლდე | 19 | 4 | 8 | 7 | 23:28 | 20 |
| ვიკინგი | 19 | 3 | 10 | 6 | 17:25 | 19 |
| სტაბეკი | 19 | 5 | 4 | 10 | 18:29 | 19 |
| ფრედრიკსტადი | 19 | 5 | 3 | 11 | 30:43 | 18 |
| სოგნდალი | 19 | 3 | 6 | 10 | 29:40 | 15 |

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა

მე-7 ტური. ადმირა — გრაცერი 2:0; მატერსბურგი — ტიროლი 2:1; შტურმი — ბრეგენცი 0:0; აუსტრია — ზალცბურგი 2:0; პაშინგი — რაპიდი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 7 | 5 | 0 | 2 | 8:5 | 15 |
| რაპიდი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 14 |
| აუსტრია | 7 | 3 | 3 | 1 | 17:6 | 12 |
| ადმირა | 7 | 4 | 0 | 3 | 14:8 | 12 |
| პაშინგი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:11 | 10 |
| ზალცბურგი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:8 | 9 |
| ტიროლი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:10 | 9 |
| შტურმი | 7 | 2 | 1 | 4 | 5:8 | 7 |
| მატერსბურგი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| ბრეგენცი | 7 | 0 | 2 | 5 | 5:25 | 2 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. I ტური

### ბელენენსეში 3:0 მარიტიმუ

1:0 როლანდო (25), 2:0 ანჟუ (45), 3:0 ლორენსო (61პ)

### სპორტინგი 3:2 ჟილ ვისენტე

1:0, 2:0 ლიედსონი (18, 25), 2:1 ანტონიო (74), 3:1 ლიედსონი (76), 3:2 ფაბიო (80)

### ეშტორილი 0:0 რიუ ავე

### პენაფიელი 1:4 სეტუბალი

0:1 მეიონგი (8), 1:1 რობერტო (13), 1:2 აური (47), 1:3 რუი (51), 1:4 იგორი (90)

### მორეირენსე 0:0 გიმარაეში

### ბოავიშტა 1:0 ნასიონალი

1:0 მარტელინიო (59)

### ბეირა მარი — ბენფიკა

*წუხელ გვიან გაიმართა (იხ. მე-15 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის.*

### კოიმბრა — ბრაგა

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სეტუბალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| ბელენენსეში | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| სპორტინგი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ბოავიშტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| გიმარაეში | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ეშტორილი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მორეირენსე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| რიუ ავე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბენფიკა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბრაგა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბეირა მარი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| კოიმბრა | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ჟილ ვისენტე | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ნასიონალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პენაფიელი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| მარიტიმუ | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

# რუდის როლი: პირველი გოლი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. IV ტური

**ნიცა 1:1 ბასტია**
1:0 რუდე (4), 1:1 ვარელი (80)

**ბორდო 2:0 სოშო**
1:0 რული (38), 2:0 ლასლანდი (86)

**აიაჩო 1:1 რენი**
0:1 ფრეი (2), 1:1 ს. მარსელინიო (20)

**ოსერი 1:0 კაენი**
1:0 მატისი (90)

**ლანსი 1:1 მონაკო**
0:1 კალონი (7), 1:1 ჟილე (41)

**ლიონი 1:0 ლილი**
1:0 ფრო (8)

**მარსელი 1:3 მეცი**
0:1 ტუმი (12), 1:1 ლუინდულა (27), 1:2 სინიორინო (89), 1:3 ტუმი (90)

**ნანტი 2:2 ტულუზი**
0:1 კასერესი (2ს.კ.), 1:1 ბაკაიოკო (33), 1:2 სირიესი (39), 2:2 სავინო (83)

**სტრასბური 1:1 ისტრი**
1:0 პაგისი (16), 1:1 მ. ნდიაიე (47)

**პსჟ 2:2 სენტ ეტიენი**
0:1 პიკიონი (65), 1:1 პაულეტა (71), 2:1 ოგბეჩე (74), 2:2 პიკიონი (88)

„მეცს" უფულობის გამო ამ ზაფხულს ფეხბურთელების შესაძენად ერთი ევროც კი არ დაუხარჯავს, მაგრამ შაბათ საღამოს სტუმრად მოუგო „მარსელს", რომელმაც დიდიე დროგბა „ჩელსის" 37 მილიონ ევროდ მიჰყიდა. 25 წლის კამერუნელმა ფორვარდმა პერვ ტუმმა ფაბიენ ბარტეზს კუთხურის სიახლოვიდან ჩაწოდებული ბურთი გაუტანა, მერე მასპინძელმა პეგი ლუინდულამ სტივ მარლეს პასით გაათანაბრა. მარსელელებს მეორე ტაიმში შეეძლოთ დაწინაურება. მარლე-პედრეტი-ბარმოგოს კომბინაცია ლუინდულამ ახლოდან ცუდად დარტყმულით ჩააფლავა, მატჩის ბოლო წუთი კი დამხვდურთათვის კოშმარული გამოდგა. სინიორინომ თავით შეაგდო, ხოლო ტუმმა იქვე მეორე გოლით გაათავა „მარსელი". ტუმს რომ ეყოჩაღა, ერთის გატანას კიდევ მოასწრებდა, მაგრამ კარის წინ ეულად დარჩენილი დაიბნა და მომენტი გააცუდა.



მარსელელმა ლუინდულამ კი გაიტანა, მაგრამ სამი ქულა მაინც „მეცს" დარჩა

„ნანტმა" მეორე ქულა მოიპოვა „ტულუზასთან" ჯაჯგურში. ტულუზელები გაცილებით უკეთ თამაშობდნენ და ნანტელი კასერესის საკუთარ კარში გატანილი გოლით მალე დაწინაურდნენ. იბრაჰიმ ბაკაიოკომ პირველივე ნახევარში გაქვითა, მაგრამ ფრანსუა სირიესიმ შესვენებამდე მაინც შეძლო სტუმართა წინ გაყვანა. მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში „ნანტი" უკბილოდ უტევდა, თუმც ნიკოლა სავინომ შეხვედრის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე გაათანაბრა.

„ბორდომ" „სოშოს" წინააღმდეგობა პირველი ტაიმის მიწურულს გატეხა. სირილ რულმა კამელ მერიემის პასით იხეირა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო რულის პირველი გოლი 221 მატჩში. შეხვედრის ბოლოს მასპინძელი მარუან შამახის წაქცევისთვის მსაჯმა პენალტი დანიშნა, ხოლო სტუმრები უმტკიცებდნენ, წესი საჯარიმოს გარეთ დაირღვაო. თურთმეტმეტრიანი ლილიან ლასლანდმა ეშმაკურად შეასრულა — კარის შუაში დაარტყა.

ლაჟვარდოვან სანაპიროზე „ნიცა" „ბასტიასთან" სებასტიენ რუდეს გოლით დაწინაურდა. რუდემ დაახლოებით 25 მეტრიდან შეჭედა კუნძულელთა კარის ცხრიანში, ნიცელები მთელი მატჩის განმავლობაში იგებდნენ კიდეც, მაგრამ შეცვლაზე შესულმა ტონი ვარელამ კორსიკელები მარცხისგან იხსნა.

ზედიზედ სამი წაგების შემდეგ „აიაჩომ" შინ პირველი ქულა „რენთან" აიღო. რენელთა ფორვარდმა ალექსანდრ ფრეიმ მესამე წუთზევე გაუტანა მასპინძელთა მეკარე სტეფან პორატოს, რომელიც ერთი კვირის წინ „მონაკოდან" გადაიყვანეს. ფრეისთვის ეს მეოთხე სააამსეზონო გოლი გამოდგა და შვეიცარიელი ბომბარდირებში დაწინაურდა.

„აიაჩომ" პირველივე ტაიმში გაქვითა მარსელინიო კარიოკას ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმოთი. მასპინძლებს მეორე ტაიმში შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ხავიერ კოლინისა და იოან დემონის დარტყმულმა ბურთებმა მხოლოდ კარის ჩარჩო შეატოკა.

გი რუს „ოსერი" „კაენის" კარგად ორგანიზებულ დაცვას შეასკდა და ბოლო წუთზეღა მოახერხა ლიგის დებიუტანტის ძლევა, რომელმაც გასულ ტურში თვით „მონაკო" დააჩოქა.

„ლიონის" ჯოვანი ელბერს ფეხის მოტეხილობის გამო ოთხი თვე გაუცდება, რაც პოლ ლე გუენის გუნდისთვის დიდი დანაკლისია, მაგრამ ამ დანაკლისს ჯერჯერობით „სოშოდან" ნაყიდი პიერ ალან ფრო ავსებს. ფრომ სიდნეი გოვუს პასით „ლილს" დასაწყისშივე გაუტანა. სტუმრებს კი ერთი ხელსაყრელი მომენტი შესვენების შემდეგ ჰქონდათ — კრისტოფ ლანდრინი გრეგორი კუპესთან პირისპირ დარჩა, თუმც მეკარეს ვერ აჯობა.

„ინტერიდან" „მონაკოში" გადაბარგებული მოჰამედ კალონი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში და თამაშს უგოლოდ არ ტოვებს. კალონიმ მერვე წუთე „ლანსის" მეკარე შარლ იტანჟეს ბურთი თავზე გადაავლო და ანგარიში გახსნა, ხოლო ნიკოლა ჟილემ ჩვიდმეტმეტრიდან შესრულებული საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ოსერი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 9 |
| ლანსი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:1 | 8 |
| ტულუზი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| ბასტია | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| ლიონი | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| ბორდო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 7 |
| მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| მონაკო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| რენი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 7 |
| კაენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| სოშო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ლილი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:4 | 4 |
| პსჟ | 4 | 0 | 2 | 2 | 6:8 | 2 |
| ნანტი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| ისტრი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| სტრასბური | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| სტ. ეტიენი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| ნიცა | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| აიაჩო | 4 | 0 | 1 | 3 | 2:5 | 1 |

II დივიზიონი. V ტური

მონპელიე — გენგამი 1:1; ბრესტი — კლერმონი 1:2; შატორუ — ნიორი 2:0; დიჟონი — ნანსი 0:1; გრენობლი — კრეტეი 1:1; გენიონი — ლე მანი 0:0; ლავალი — ანჟე 1:1; ლე ავრი — რეიმსი 3:1; სედანი — ამიენი 0:1. ტრუა — ლორიანი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე ავრი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| რეიმსი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| სედანი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| ბრესტი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| კლერმონი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:5 | 8 |
| გენიონი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:3 | 8 |
| ამიენი | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| გრენობლი | 5 | 2 | 2 | 1 | 9:10 | 8 |
| დიჟონი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 |
| ნანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| ლავალი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| ლე მანი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:3 | 6 |
| ნიორი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ლორიანი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| შატორუ | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ანჟე | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ტრუა | 4 | 1 | 1 | 2 | 8:9 | 4 |
| მონპელიე | 5 | 1 | 1 | 3 | 5:7 | 4 |
| კრეტეი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| გენგამი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | 4 |

## შოტლანდია

პრემიერლიგა. IV ტური

**სელტიკი 1:0 რეინჯერსი**
1:0 ა. ტომპსონი (85)

სელტიკი: მარშალი, აგატი, ბალდე, ვარგა, მაკნამარა, ჟუნინიო (ვალგაერენი 87), ლენონი, ს. პეტროვი, ა. ტომპსონი, კამარა (ულესი 64), ჰართსონი (სილა 84)

მწვრთნელი: მარტინ ონილი

რეინჯერსი: კლოსი, ჰატონი, ბუმსონგი, მური, ვინალი, რიკსენი, მლადენოვიჩი (ს. ტომპსონი 87), რაე, არველაძე (ლოვენკრანდსი 53), პრსო, ნოვო

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ბალდე, მური, რაე

მსაჯი: დალასი

**აბერდინი 2:0 ლივინგსტონი**
1:0, 2:0 კრეიგი (65, 68)

**დანდი იუნ. 2:1 ინვერნესი**
0:1 ვილსონი (60), 1:1 ინსი (71), 2:1 მაკინტირი (86)

**ჰიბერნიანი 4:4 დანდი**
0:1 ჟ. სატონი (7), 1:1 შილსი (23), 2:1 რიორდანი (41), 3:1, 4:1 ოკონორი (46, 50), 4:2 ბრედი (65), 4:3 ლარსენი (79), 4:4 სანტოსი (90)

**მოზერუელი 2:0 ჰართსი**
1:0 მაკბრაიდი (59), 2:0 დონელი (67)

**კილმარნოკი 1:0 დანფერმლაინი**
1:0 ინვინსიბილი (11)

# ეს რა ყოფილა!

## ჟუნინიო ოლდ ფირმულად მონათლეს



ჟუნინიომ „სელტიკ პარკს" მაყურებელიც უჩვენა

სეზონის პირველ „ოლდ ფირმში" „სელტიკმა" შინ „რეინჯერსს" ალან ტომპსონის გვიანი გოლით სძლია. მარტინ ონილმა ალექს მაკლიშს მიჯრით მეშვიდე მატჩი მოუგო. ამ გამარჯვების შემდეგ „თეთრ-მწვანეები" „ჩაფრებს" ხუთქულიანი სხვაობით გაექცნენ. ონილის გუნდს ჰენრიკ ლარსონის წასვლა არ დასტყობია, რაკი ოთხ ტურში ასპროცენტიანი შედეგი აქვს, ხოლო „რეინჯერსი", მიუხედავად იმისა, რომ ამ ზაფხულს თითქოს გაძლიერდა, მესამე ადგილზე ჩამოქვეითდა.

გლაზგოური ომის დაწვრილებით აღწერას არ ვაპირებთ, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ თანაბარი თამაში იყო და ტომპსონის გოლიც სტუმართა მცველის ზურგიდან ასხლეტით გავიდა. „რეინჯერსის" მეკარე შტეფან კლოსი დარტყმის მომენტს ხედავდა და მარცხნივ გაიწია, თუმც ბურთმა მიმართულება ოდნავ იცვალა, კლოსმა კი მხოლოდ ხელიღა წაუთათუნა ხარიხის ქვეშ შევარდნილს.

ამ მატჩში „სელტიკის" მაისურა პირველად მოირგო ყოფილმა მიდლსბროელმა, ბრაზილიელმა ჟუნინიომ, რომელმაც ერთხელ წინ გამოსულ კლოსს ბურთი თავს ზემოთ გადაავლო, მაგრამ კარსაც ააცილა. ჟუნინიოს ბრაზილიური პასებით „თეთრ-მწვანე" ქომაგებმა ისიამოვნეს და ახალწვეული ბოლოს ტაშით გააცილეს. „აქაური გარემო და ფანობა ძალიან მომეწონა. ინგლისში მითამაშია და ფიზიკურად არ გამჭირვებია, მაგრამ „ოლდ ფირმი" სულ სხვა ყოფილა" — თქვა ჟუნინიომ. „რეინჯერსი" ბოლოს კი მიაწვა „სელტიკს", მაგრამ ბურთს კარისკენ გზა ვერ გააგნებინა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:3 | 12 |
| აბერდინი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:0 | 8 |
| რეინჯერსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:2 | 7 |
| ჰართსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| მოზერუელი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| კილმარნოკი | 4 | 2 | 0 | 2 | 4:7 | 6 |
| დანდი იუნაიტედი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| დანდი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| ჰიბერნიანი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:10 | 4 |
| ლივინგსტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | 4 |
| ინვერნესი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |
| დანფერმლაინი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:5 | 1 |

**პირველი დივიზიონი**

მე-4 ტური. ფოლკირკი — ერდრი 5:0; ქუინ ოფ საუთ — კლაიდი 0:1; როს ქაუნთი — პარტიკ თისლი 0:1; სტ. ჯონსტონი — რეით როვერსი 1:0; სტ. მირენი — ჰამილტონი 1:0

**მეორე დივიზიონი**

მე-4 ტური. არბოთი — სტრენრარი 0:1; ეარი — მორტონი 2:0; ბრეჩინი — ალოა 4:0; დამბარტონი — ფორფარი 0:1; სტირლინგი — ბერიკი 3:1

**მესამე დივიზიონი**

მე-4 ტური. ალბიონი — პიტერჰედი 0:1; ქოუდენბითი — ისტ სტირლინგი 2:1; ისტ ფაიფი — სტენჰაუზმური 0:0; ელგინი — მონტროუზი 1:3; ქუინზ პარკი — გრეტნა 3:2

# ბერლუსკონის თასი
# მიხაროდეს წაგება!
## ბერლუსკონი ტურინში წავიდა

**მილანი 0:1 იუვენტუსი**

0:1 ოლივეირა (47)

**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა (კოსტაკურტა 83), სტამი, კალაძე, გატუზო (დორასო 71), რუი კოშტა (სერჟინიო 60), ამბროზინი (ბროკი 71), კაკა, შევჩენკო, ტომასონი (ზეედორფი 46)

**მწვრთნელი:** კარლო ანჩელოტი

**იუვენტუსი:** კიმენტი, ძებინა, ტურამი, ტუდორი, ძამბროტა, ოლივეირა (კაპო 67), ემერსონი, პესოტო, ბლაზი (ტაკინარდი 48), ზალაიეტა (ბირინდელი 73), დელ პიერო (მიკოლი 46)

**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო

**გაფრთხილება:** ტუდორი, ბლაზი, ამბროზინი

**მსაჯი:** პიერი დი ლუკა

ტრადიციული „ბერლუსკონის თასი" ან თუ იტალიურად გნებავთ „ტროფეო ბერლუსკონი" წლეულს „იუვენტუსმა" აღმართა. შეგახსენებთ, რომ ეს გახლავთ ყოველი წლის აგვისტოში, სეზონის დაწყებამდე გამართული მატჩი ერთსა და იმავე გუნდებს, „იუვენტუსსა" და „მილანს" შორის. წლეულს „ტროფეო ბერლუსკონი" მეთოთხმეტედ გათამაშდა, ოღონდ მასში მონაწილეობა ვერ მიიღეს დაშავებულმა ვარსკვლავებმა, ერნან კრესპომ, დავიდ ტრეზეგემ, პაოლო მალდინიმ, პაველ ნედვედმა და ჯანლუიჯი ბუფონმა.

„მილანის" თამაშში ყურადღებამისაქცევი ის გახლდათ, რომ საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციას უკვე მეორედ ასრულებდა რუი კოშტა. პირველად კარლო ანჩელოტიმ ეს ექსპერიმენტი იტალიის სუპერთასზე ჩაატარა, როდესაც „მილანმა" „ლაციოს" 3:0 მოუგო.

საინტერესოა, რომ როგორც ანჩელოტი, ასევე ფაბიო კაპელო, თავისი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ხოლო ამ თასზე დამარცხებული ხშირად მერე იტალიის ჩემპიონი ხდება ხოლმე. მაგალითად, შარშან ამ დროსაც „იუვემ" მოიგო 2:0 და საერთოდაც, ეს შეიძლება კარგის ნიშნად ჩაითვალოს.

პირველი სახიფათო მომენტი მეხუთე წუთზე ანდრეი შევჩენკომ შექმნა, როდესაც დაბალი პასით იონ დალ ტომასონი გაიყვანა მოხერხებულ პოზიციაზე, მაგრამ დანიელს გოლის გატანაში ბურთთან ერთით ზედმეტმა შეხებამ შეუშალა ხელი და ჯონათან ძებინამ მომენტის განმუხტვა მოასწრო. შემდეგ კაკამ დაარტყა, ოღონდ პირდაპირ მეკარისკენ და ერთი ხნის შემდეგ სრულებით უმეთვალყურეოდ დარჩენილმა შევჩენკოს დაგორებული ბურთი როგორღაც ვერ შეაგდო კარში დაახლოებით შვიდი მეტრიდან.

შესვენების შემდეგ „იუვენტუსი" დაწინაურდა: ფაბრიციო მიკოლიმ ალესანდრო ნესტა მოატყუა და რუბენ ოლივეირას მორგებული, საგოლე პასი დაუგორა. ერთი ხნის შემდეგ მიკოლიმ ძელს გაარტყა ბურთი და საერთოდაც, უნდა ითქვას, რომ შესვენებისას დელ პიეროს ამ ფორვარდით შეცვლის შემდეგ ტურინელების თამაში გამწვავდა.

აქ, ანჩელოტიმ ტაქტიკა კიდევ ერთხელ შეცვალა — მოედანზე სერჟინიო შევიდა და ამიტომ კაკამ წინ, შევჩენკოს გვერდით გადაინაცვლა. ბარემ აქვე დავძინოთ, რომ ერთი უზუსტო პასის გამო შევჩენკომ და ჯენარო გატუზომ ერთმანეთთან კინაღამ იჩხუბეს.

„მილანს" 70-ე წუთზე უნდა გაეთანაბრებინა, მაგრამ სერჟინიომ იმაზე ნაღდი მომენტი ვერ გამოიყენა, წეღან კაკასთან დაკავშირებით რომ აღვწერეთ.

„ჩვენ კარგად და რაც მთავარია, ნერვიულობის გარეშე ვითამაშეთ — თქვა მატჩის შემდეგ კაპელომ — ფიზიკურად „მილანზე" უკეთ ვიყავით მზად და მოგებაც მეტად გვინდოდა. ახლა უკვე ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ ჩემპიონატს კარგად დავიწყებთ".

„ამ მომენტისთვის ფიზიკური თვალსაზრისით საუკეთესოდ სულაც არ ვართ მომზადებული — დაეთანხმა კოლეგას ანჩელოტი — მეორე ტაიმში სწორედ ამიტომ დავმარცხდით, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ძალიან ბევრი საგოლე მომენტი გავუშვით ხელიდან. ახლა, როდესაც „ბარსელონასთან" და „იუვენტუსთან" წავაგეთ, ეჭვი არ მეპარება, რომ პრესაში ჩვენს კრიზისზე დაწერენ. კი ბატონო, ასე იყოს და შემდეგ, კრიზისს რომ დავძლევთ, ვიზეიმოთ. სინამდვილეში კი დრამატული არაფერი ხდება".

**ბაკურა ძიძია**



ორი ალესანდრო: დამარცხებული ნესტა და გამარჯვებული დელ პიერო

## ბელგია

### იუპილერლიგა. IV ტური

**ლუვიე 2:0 გენკი**

1:0 მურსი (56), 2:0 ოდემვინგი (70)

**ანდერლეხტი 2:0 გენტი**

1:0 იესტროვიჩი (35), 2:0 იაჩტჩუკი (65)

**ბრიუგე 1:0 ლიერსი**

1:0 ლანგე (79)

**ლოკერენი 1:1 მუსკრონი**

0:1 ნოკეუ (66), 1:1 გრეტარსონი (883)

**მონსი 2:0 ოსტენდე**

1:0, 2:0 ალიუ (35, 60)

**სტანდარდი 1:3 ბრიუსელი**

0:1 ბრუნო (43), 1:1 დეფლანდრე (48), 1:2 ჩულეკი (52), 1:3 სელემანი (68)

**ვესტერლო 1:2 სერკლ ბრიუგე**

1:0 პაასი (5), 1:1 ბოი (83), 1:2 მეისენი (90)

**ბეერსხოტი 0:1 შარლერუა**

0:1 ჩაბო (10)

**სენტ ტრუიდენი 0:1 ბევერენი**

0:1 რომარიჩი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 4 | 3 | 1 | 0 | 9:2 | 10 |
| ლუვიე | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 10 |
| ანდერლეხტი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| მუსკრონი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:1 | 8 |
| ვესტერლო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| გენკი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| ბეერსხოტი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:3 | 6 |
| შარლერუა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| მონსი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ლოკერენი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ბევერენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ბრიუსელი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| ლიერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| სტანდარდი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| სერკლი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | 4 |
| გენტი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | 3 |
| სენტ ტრუიდენი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |
| ოსტენდე | 4 | 0 | 1 | 3 | 4:11 | 1 |

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XXI ტური

**სატურნი 0:1 ცსკა**

0:1 კირიჩენკო (89)

**ყუბანი 2:1 ლოკომოტივი**

1:0, 2:0 რიკარდო ბაიანო (17, 62), 2:1 ხოხლოვი (67)

**როსტოვი 0:0 ალანია**

**როტორი 1:1 მოსკოვი**

1:0 გოგნიევი (60), 1:1 ბრაკამონტე (61)

**სპარტაკი 3:1 კრილია**

0:1 სოუზა (10), 1:1 პავლიუჩენკო (18), 2:1 სამედოვი (27), 3:1 ბაჟენოვი (45)

**შინიკი 3:1 ტორპედო**

1:0 შტანიუკი (22), 1:1 ლებედენკო (29), 2:1 ხაზოვი (81), 3:1 კულჩი (90)

*ამკარი — რუბინი*

*დინამო — ზენიტი*

*დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 21 | 11 | 7 | 3 | 34:17 | 40 |
| კრილია | 21 | 12 | 4 | 5 | 39:31 | 40 |
| ლოკომოტივი | 21 | 11 | 6 | 4 | 30:16 | 39 |
| ზენიტი | 20 | 12 | 3 | 5 | 37:24 | 39 |
| ტორპედო | 21 | 10 | 6 | 5 | 34:22 | 36 |
| შინიკი | 21 | 8 | 7 | 6 | 21:20 | 31 |
| მოსკოვი | 21 | 7 | 8 | 6 | 27:25 | 29 |
| სპარტაკი | 21 | 8 | 4 | 9 | 31:33 | 28 |
| სატურნი | 21 | 5 | 11 | 5 | 21:19 | 26 |
| როსტოვი | 21 | 6 | 6 | 9 | 21:26 | 24 |
| რუბინი | 20 | 5 | 8 | 7 | 20:19 | 23 |
| ალანია | 21 | 6 | 5 | 10 | 19:29 | 23 |
| ამკარი | 20 | 4 | 9 | 7 | 16:27 | 21 |
| დინამო | 20 | 4 | 7 | 9 | 19:26 | 19 |
| ყუბანი | 21 | 4 | 7 | 10 | 19:30 | 19 |
| როტორი | 21 | 1 | 6 | 14 | 18:42 | 9 |

## დანია

### სუპერლიგა

მე-5 ტური. ესბიერგი — ჰერფიოლგე 7:2; კოპენჰაგენი — ოლბორგი 3:2; მიდტიულანდი — რანდერსი 3:1; ოდენსე — ორჰუსი 0:2; ვიბორგი — ნორდსიელანდი 0:1; ბრონდბიუ — სილკებორგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სილკებორგი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 10 |
| ბრონდბიუ | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 10 |
| მიდტიულანდი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| ორჰუსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| ესბიერგი | 4 | 2 | 1 | 1 | 13:6 | 7 |
| ოდენსე | 5 | 2 | 1 | 2 | 9:7 | 7 |
| ნორდსიელანდი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| ვიბორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| ჰერფიოლგე | 5 | 2 | 1 | 2 | 5:10 | 7 |
| კოპენჰაგენი | 5 | 1 | 3 | 1 | 10:10 | 6 |
| ოლბორგი | 5 | 1 | 0 | 4 | 7:9 | 3 |
| რანდერსი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | 0 |

## ჰოლანდია

### I დივიზიონი. III ტური

**დენ ბოსხი 1:2 ტილბურგი**

0:1 მატისენი (25), 0:2 ბობსონი (45), 1:2 უველანდი (59)

**ბრედა 2:2 პსვ ეინდჰოვენი**

0:1 ვან ბომელი (1), 1:1 სლოტი (43), 2:1 ზონეველდი (50), 2:2 სიბონი (61)

**როდა 2:1 გრააფსხაპი**

0:1 ზონგო (25), 1:1 კონე (69), 2:1 კრისტიანო (78)

**ტვენტე 4:1 ჰერენვენი**

1:0 ნკუფო (13), 2:0 კულინა (23), 3:0 ციომერი (37), 3:1 ილდირიმი (45), 4:1 კულინა (70)

**ნაიმეგენი 1:2 ალკმაარი**

0:1 ლანძაატი (14), 0:2 პერესი (77), 1:2 დენებოომი (90)

**ვიტესი 1:1 ფეიენოორდი**

0:1 სანდი (25), 1:1 დინგსდაგი (83)

**აიაქსი 1:1 უტრეხტი**

0:1 დუგლასი (21), 1:1 პიენაარი (62)

**როზენდალი 2:2 გრონინგენი**

1:0 იკედია (23), 1:1 დრენტი (44), 2:1 იკედია (54), 2:2 ტუიპი (82)

**ვალვაიკი 1:3 დენ ჰააგი**

1:0 ჰოგენდორპი (6), 1:1 გუნი (29), 1:2 ლეეგტე (88), 1:3 ოუდენი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 3 | 2 | 1 | 0 | 11:2 | 7 |
| პსვ | 3 | 2 | 1 | 0 | 12:5 | 7 |
| აიაქსი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:5 | 7 |
| ვიტესი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ნაიმეგენი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| როდა | 3 | 2 | 0 | 1 | 8:7 | 6 |
| უტრეხტი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:5 | 4 |
| დენ ბოსხი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ვალვაიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ბრედა | 3 | 1 | 1 | 1 | 7:10 | 4 |
| ალკმაარი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:7 | 4 |
| ტვენტე | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |
| დენ ჰააგი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 3 |
| ტილბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| გრონინგენი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ჰერენვენი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:9 | 1 |
| გრააფსხაპი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |
| როზენდალი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:12 | 1 |

### მეორე დივიზიონი

მე-3 ტური. კამბური — დოორდრეხტი 1:4; ემენი — ვენლო 0:1; ექსელსიორი — სპარტა 2:3; იგლსი — აპელდორნი 2:1; ჰაარლემი — ეინდჰოვენი 4:0; ჰერაკლესი — სიტარდი 0:0; ოსი — მაასტრიხტი 2:1; ჰელმონდი — ტელსტარი 2:2; ვოლენდამი — ზვოლე 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვოლენდამი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| ჰერაკლესი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ვეენდამი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ოსი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ჰაარლემი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| ვენლო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ზვოლე | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| სიტარდი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| სპარტა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| იგლსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| დოორდრეხტი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:7 | 4 |
| ექსელსიორი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| კამბური | 3 | 1 | 0 | 2 | 2:8 | 3 |
| ტელსტარი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| ჰელმონდი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:8 | 2 |
| ემენი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | 1 |
| მაასტრიხტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ეინდჰოვენი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:9 | 1 |
| აპელდორნი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა

მე-4 ტური. ბლშანი — სპარტა 1:3; სინოტი — იაბლონეცი 1:0; ბუდეიოვიცე — მლადა ბოლესლავი 3:0; ოპავა — ბანიკი 1:1; პრჟიბრამი — ზლინი 0:0; ტეპლიცე — დრნოვიცე 2:1; *ლიბერეცი — სიგმა ; სლავია — ბრნო დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 4 | 3 | 1 | 0 | 12:5 | 10 |
| ტეპლიცე | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| ბრნო | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| სინოტი | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 7 |
| სიგმა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბანიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| ზლინი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| პრჟიბრამი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:3 | 5 |
| ბუდეიოვიცე | 4 | 1 | 1 | 2 | 4:4 | 4 |
| იაბლონეცი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:3 | 4 |
| მლადა ბოლესლავი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:5 | 4 |
| ოპავა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |
| ლიბერეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| სლავია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ბლშანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |
| დრნოვიცე | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | 0 |

## შვეიცარია

### სუპერლიგა. VII ტური

**შაფჰაუზენი 3:3 აარაუ**

0:1 [illegible] (3), 1:1 [illegible] (11), 1:2 გიალანზა (31), 2:2 შენგემულე (49), 2:3 გიალანზა (63), 3:3 ადემი (84)

**გრასჰოპერი 0:0 თუნი**

**ქსამაქსი 1:1 ციურიხი**

0:1 ილიე (41), 1:1 მარანინჩი (42)

**იანგ ბოიზი 1:1 სერვეტი**

0:1 პასლი (78), 1:1 პიბერლი (90)

**სენტ გალენი 0:1 ბაზელი**

0:1 ხიმენესი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 7 | 4 | 3 | 0 | 14:5 | 15 |
| თუნი | 7 | 4 | 2 | 1 | 9:3 | 14 |
| გრასჰოპერი | 7 | 2 | 5 | 0 | 7:5 | 11 |
| იანგ ბოისი | 7 | 2 | 4 | 1 | 16:11 | 10 |
| ქსამაქსი | 7 | 2 | 3 | 2 | 11:10 | 9 |
| ციურიხი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | 8 |
| აარაუ | 7 | 2 | 1 | 4 | 12:16 | 7 |
| სენტ გალენი | 7 | 1 | 3 | 3 | 11:13 | 6 |
| შაფაუზენი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:15 | 6 |
| სერვეტი | 7 | 1 | 2 | 4 | 6:16 | 5 |

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა

22-ე ტური. ალიანსი — ლაჰტი 1:2; იარო — ჰიკ 2:2; ჰაკა — ჯაზი 1:0; როვანიემი — ინტერი 4:0; ტამპერე — მიუპა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაკა | 20 | 14 | 4 | 2 | 42:11 | 46 |
| ტამპერე | 20 | 11 | 4 | 5 | 33:18 | 37 |
| ტურკუ | 21 | 11 | 3 | 7 | 31:26 | 36 |
| ლაჰტი | 21 | 8 | 9 | 4 | 29:24 | 33 |
| მიუპა | 21 | 9 | 6 | 6 | 27:22 | 33 |
| ინტერი | 21 | 10 | 3 | 8 | 35:32 | 33 |
| ალიანსი | 19 | 9 | 4 | 6 | 22:21 | 31 |
| ჰიკ | 20 | 7 | 9 | 4 | 30:22 | 30 |
| კტპ | 20 | 7 | 6 | 7 | 25:23 | 27 |
| ტპ 47 | 22 | 7 | 4 | 11 | 31:36 | 25 |
| როვანიემი | 22 | 6 | 4 | 12 | 24:38 | 22 |
| იარო | 21 | 5 | 3 | 13 | 23:39 | 18 |
| ჯაზი | 21 | 4 | 5 | 12 | 26:45 | 17 |
| ჰამენლინა | 21 | 2 | 6 | 13 | 23:44 | 12 |

## შვედეთი

### ალსვენსკა

მე-18 ტური. აიკ — ჰელსინგბორგი 2:2; ლანდსკრონა — გიოტებორგი 0:1; ტრელებორგი — სუნდსვალი 1:1; *ელფსბორგი — კალმარი ; იორებრო — იურგორდენი ; იორგრიტე — მალმიო ; ჰამარბი — ჰალმსტადი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 17 | 10 | 4 | 3 | 36:19 | 34 |
| გიოტებორგი | 18 | 10 | 4 | 4 | 23:12 | 34 |
| მალმიო | 17 | 9 | 6 | 2 | 29:12 | 33 |
| ჰამარბი | 17 | 8 | 4 | 5 | 21:17 | 28 |
| კალმარი | 17 | 6 | 8 | 3 | 19:14 | 26 |
| ელფსბორგი | 17 | 6 | 5 | 6 | 17:23 | 23 |
| ჰელსინგბორგი | 18 | 5 | 7 | 6 | 34:24 | 22 |
| იურგორდენი | 17 | 5 | 7 | 5 | 23:24 | 22 |
| სუნდსვალი | 18 | 5 | 7 | 6 | 19:21 | 22 |
| აიკ | 18 | 4 | 6 | 8 | 15:24 | 18 |
| იორებრო | 17 | 4 | 6 | 7 | 20:33 | 18 |
| იორგრიტე | 17 | 3 | 7 | 7 | 15:23 | 16 |
| ლანდსკრონა | 18 | 3 | 7 | 8 | 17:26 | 16 |
| ტრელებორგი | 18 | 2 | 6 | 10 | 14:30 | 12 |

## თურქეთი

### სუპერლიგა

მე-4 ტური. ქაისერი — ფენერბაჰჩე 0:2; ანკარა — დენიზლი 3:2; კონია — ისთანბული 2:1; რიზე — სამსუნი 2:0; საქარია — გალათასარაი 1:2; ტრაბზონი — გენჩლერი 3:1; ანკარაგიუჯიუ — სებათი 2:1; დიარბაქირი — მალათია 1:2; ბეშიქთაში — გაზიანთეფი 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 4 | 4 | 0 | 0 | 13:4 | 12 |
| ფენერბაჰჩე | 4 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 10 |
| დენიზლი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 9 |
| გალათასარაი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 9 |
| გაზიანთეფი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| მალათია | 4 | 2 | 1 | 1 | 9:7 | 7 |
| ანკარა | 4 | 2 | 1 | 1 | 8:7 | 7 |
| ანკარაგიუჯიუ | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| რიზე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 5 |
| დიარბაქირი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| კონია | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| გენჩლერი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| ბეშიქთაში | 4 | 0 | 2 | 2 | 6:9 | 2 |
| სამსუნი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:6 | 2 |
| ისთანბული | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| სებათი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | 1 |
| ქაისერი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| საქარია | 4 | 0 | 0 | 4 | 2:6 | 0 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 15.00 | 001 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 002 | პორტსმუთი-ფულემი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი. VI ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 15.30 | 101 | ლესტერი-ბრაიტონი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 18.00 | 102 | ბარნსლი-ჯილინგემი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 18.00 | 103 | იფსვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 18.00 | 104 | პრესტონი-როტერჰემი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 105 | უიგანი-კარდიფი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 22.45 | 106 | ქოვენთრი-ვესტ ჰემი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 22.45 | 107 | სტოუკ-დერბი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.00 | 108 | პლიმუთი-ნოტინგემი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 109 | ქრიუ-მილუოლი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 23.00 | 110 | რედინგი-სანდერლენდი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | **ინგლისი. I ლიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 114 | ბრისტოლი-ბრენტფორდი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 18.00 | 115 | დონკასტერი-ჰადერსფილდი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |
| 18.00 | 116 | ჰარტლპული-კოლჩესტერი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| 18.00 | 117 | ლუტონი-ბორნმუთი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 18.00 | 118 | დონსი-ტორკი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 119 | პიტერბრო-ბლეკპული | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 120 | უენსდი-ოლდემი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 18.00 | 121 | სტოკპორტი-ტრანმერი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 18.00 | 122 | უოლსოლი-სუინდონი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.00 | 123 | რექსემი-ბარნსლი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 124 | ჩესტერფილდი-პორტ ვეილი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 22.45 | 125 | ჰალი-ბრედფორდი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| | | **ინგლისი. II ლიგა. VI ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 141 | ბოსტონი-ჩესტერი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 18.00 | 142 | ბერი-კიდერმინსტერი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 18.00 | 143 | დარლინგტონი-კემბრიჯი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 18.00 | 144 | ლეიტონი-როჩდეილი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 18.00 | 145 | მენსფილდი-იოვილი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 18.00 | 146 | ნოტსი-ოქსფორდი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 18.00 | 147 | რაშდენი-როვერსი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 18.00 | 148 | სკანთორპი-ნორთჰემპტონი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 18.00 | 149 | საუთენდი-მაკლსფილდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 150 | სუონსი-ლინკოლნი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 18.00 | 151 | უიკომბი-გრიმსბი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 152 | შრიუსბერი-ჩელტენემი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. V ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 169 | ბარტონი-სკარბორო | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 170 | კონვი-ბარნეტი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 171 | ქროული-დაგ ენდ რედი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 172 | ფარნბორო-ექსეტერი | 3,0 | 3,2 | 2,15 | 1,54 | 1,25 | 1,28 |
| 18.00 | 173 | ფორესტ გრინი-გრეივსენდი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 18.00 | 174 | მორიკომბი-ლეი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 18.00 | 175 | ნორთვიჩი-ჰერეფორდი | 3,6 | 3,3 | 1,8 | 1,72 | 1,19 | 1,16 |
| 18.00 | 176 | სტივენეიჯი-ტემუორთი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 15.00 | 177 | უოკინგი-ალდერშოტი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 178 | ჰალიფაქსი-კარლაილი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 22.45 | 179 | იორკი-აკრინგტონი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22.15 | 216 | კიოლნი-აინტრახტი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 003 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. V ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22.15 | 253 | ტრუა-ლორიანი | 2,1 | 2,8 | 3,5 | 1,19 | 1,31 | 1,55 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა. I ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 23.30 | 266 | აკადემიკა-ბრაგა | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 310 | ელფსბორგი-კალმარი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 21.00 | 311 | იორებრო-ოერგორდენი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 21.00 | 312 | იორგრიტე-მალმიო | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| 22.00 | 313 | ჰამარბი-ჰალმსტადი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 315 | გეფლე-ენჩიოპინგი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 21.00 | 316 | ნორჩიოპინგი-ბრომაპოიკარნა | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 21.00 | 317 | ვესტეროსი-იოსტერსი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 330 | ტრომსიო-ბოდიო გლიმტი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| | | **ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. XVI ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 348 | ფილკირი-აკურეირი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 22.00 | 349 | აკრანესი-კეფლავიკი | 1,95 | 3,1 | 3,5 | 1,19 | 1,25 | 1,64 |
| 22.00 | 350 | გრინდავიკი-ჰაფნარფიორდური | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,57 | 1,26 | 1,25 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 24.00 | 351 | ფრამი-რეიკიავიკი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,52 | 1,26 | 1,28 |
| | | **რუსეთი. პრემიერლიგა. XX ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 16.00 | 360 | ამკარი-რუბინი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,27 | 1,61 |
| 16.00 | 361 | დინამო-ზენიტი | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,52 | 1,26 | 1,28 |
| | | **ჩეხეთი. გამბრინუსი ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 18.40 | 365 | ლიბერეცი-სიგმა | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 22.00 | 366 | სლავია-ბრნო | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| | | **ჰოკეი. მსოფლიოს თასი** | | | | | | |
| | | **30 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 1101 | ჩეხეთი-ფინეთი | 2,25 | 4,0 | 2,3 | 1,44 | 1,13 | 1,46 |
| | | **31 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 1102 | გერმანია-შვედეთი | 7,0 | 6,0 | 1,22 | 3,23 | 1,03 | 1,01 |
| 03.00 | 1103 | კანადა-აშშ | 1,8 | 4,0 | 3,0 | 1,24 | 1,12 | 1,71 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,5 | 3,0 | 7,5 | 1 | 1,25 | 2,14 |
| 5002 | პორტსმუთი-ფულემი | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 5003 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,85 | 2,3 | 5,6 | 1,02 | 1,39 | 1,63 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5401 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,25 | 3,6 |
| 5402 | პორტსმუთი-ფულემი | 1,8 | 2,0 |
| 5403 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,35 | 3,2 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 15,0 | 15,0 |
| 5102 | პორტსმუთი-ფულემი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5103 | ვალენსია-ვილიარეალი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5501 | მანჩესტერი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5502 | პორტსმუთი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | ვალენსია-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 5302 | პორტსმუთი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5303 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,95 | 1,65 |
| 5202 | პორტსმუთი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 5203 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,85 | 1,75 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი 16 ლიგა 5 ტური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

გორი. 29 აგვისტო. 17 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 200 (ტევადობა 5 000)

## დილა 0:1 ტორპედო

| 0:1 კოშკაძე (59) | |
|---|---|
| *კოშკაძემ ვერ გაიტანა პენალტი (90, მეკარე)* | |
| **დილა:** თ. ილურიძე, ბალაშვილი, ჩაჩუა, ლომიძე, რაზმაძე, კ. ხანიშვილი, ჯობაძე (გაბელაია 37), შატაკიშვილი, ქარქუზაშვილი (სამადაშვილი 60), სულთანიშვილი, წუწუნავა *სათადარიგონი:* ფოფხაძე; მასურაშვილი, დ. ნადირაძე, დ. ხანიშვილი **მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი | **ტორპედო:** სტურუა, მემარნიშვილი, გამეზარდაშვილი, ს. თოდუა, ებრალიძე, ნერგაძე, კოშკაძე, ბოლქვაძე, ბაბუნაშვილი (მუმლაძე 65), ჩხეტიანი (რევაზიშვილი 84), მეგრელაძე *სათადარიგონი:* გ. გაბელია; ადუაშვილი, რევაზიშვილი, მერებაშვილი, გ. დარსაძე, ნ. ნადირაძე **მწვრთნელი:** ოთარ გაბელია |
| **გაფრთხილება:** ლომიძე (26), კაიდარაშვილი (51), სულთანიშვილი (79) | |
| **მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); მ. ურუშაძე (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); დ. სანაია (სოხუმი) | |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში | |




თამაზ ილურიძე ალექსანდრე კოშკაძის პირველ პენალტს ვერ მისწვდა

# აგორდა, აღარ გადაგორდა?! დაქაჩვა, გაქაჩვა, ფურთხი, ჭიდება

**დავით ერაძე** გორიდან

ძნელია წერა თამაშზე, რომელიც მსაჯების, გულშემატკივრებისა და ფეხბურთელების არაპროფესიული ქცევითა და სულაც უსაქციელობით გამოირჩა. მატჩის არბიტრს ის გორელი ფეხბურთელები რომ გაეძევებინა, მასზე რომ გაიწიეს ან ბურთი ესროლეს... გორის პოლიციას ხუთამდე მთვრალი გულშემატკივრის პილწსიტყვაობა რომ აღეკვეთა, რომლებმაც სტუმარ ფეხბურთელებს უშვერად აგინეს... ბოლოს და ბოლოს, გუნდებს ფეხბურთი რომ ეთამაშათ, ის არ მოხდებოდა, რამაც მატჩი 5 წუთით შეწყვიტა.

შეხვედრის 58-ე წუთზე საჯარიმოში გამეზარდაშვილს მაისურა დაქაჩეს. „ბაიანა“ წაიქცა. თითქმის ყველა მსაჯი პენალტს დანიშნავდა. ასევე მოიქცა ბუიშვილი და გაცოფებულ გულშემატკივრებს არც ფეხბურთელები ჩამორჩნენ, მხრისა და მკერდის ხეთქებით მიაწყდნენ მსაჯს. სამწუხარო ისაა, რომ თავი ვერც ზურაბ ხორგუაშვილმა შეიკავა. ბუიშვილმა, რაღა თქმა უნდა, გადაწყვეტილება აღარ შეცვალა და კოშკაძემ ილურიძის თავგანწირული ნახტომის მიუხედავად ანგარიში გახსნა. მოედანზე მდგომარეობა დაიძაბა. მაყურებლებით შეგულიანებული გორელების თამაშში ბოლმა იგრძნობოდა. ყველაზე ახლოს გოლთან წუწუნავა იყო, თუმცა მის დარტყმულს ქუთაისელი მცველები ჩაუწვნენ. გორელებმა დაცვა დაივიწყეს და „ტორპედო“ ვალდებულიც იყო, ორჯერ გაეტანა. ჯერ მეგრელაძემ შეატოვა ჩხეტიანი ილურიძეს, ხოლო შემდეგ პირიქით. პირველ შემთხვევაში დარტყმა იყო არაზუსტი, მეორედ კი ილურიძემ იყოჩაღა. ქუთაისელები ასეთი დაუდევრობისთვის სხვისგან იქნებ დასჯილიყვნენ, მაგრამ „დილას“ არ ჰქონდა ცნობილი საფეხბურთო კანონის ამოქმედების თავი. 90-ე წუთზე კი ბუიშვილმა ბოლქვაძის წაქცევისთვის, რომ იტყვიან, ასპროცენტიანი პენალტი დანიშნა, თუმცა მორიგ საქმის გარჩევას მაინც ვერ გადაურჩა — მისივე ბრალია, წითელი ბარათისთვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა დროზეა საჭირო. პენალტის დარტყმა ისევ კოშკაძემ ითავა, ამჯერად ბურთი მარცხენა კუთხეში დაარტყა და ილურიძეს ვერ აჯობა, რომელმაც ამ სეზონში უკვე მეორე თერთმეტმეტრიანი მოიგერია.

საფინალო სასტვენის შემდეგ მსაჯთა ბრიგადა მოედნიდან ნერწყვის აბაზანის და გინების თანხლებით გავიდა და გასახდელიც მოგვიანებით დატოვა.

*ზურაბ ხორგუაშვილი:* ნამდვილი ბრძოლა იყო. გაბელიას ვულოცავ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებ. პირველი ტაიმი თანაბარი იყო. მსაჯის არაკომპეტენტურობამ შეხვედრაზე გავლენა იქონია. არ შეიძლება, ქუთაისთან თამაშზე ჭიათურელი არბიტრი დაინიშნოს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. შორს რომ აღარ წავიდე, წლეულს „სიონთანაც“ მსაჯების გამო წავაგეთ. „დილა“ ახალგაზრდული გუნდია და ფედერაციამ ჩვენს თამაშზე მსაჯების დანიშვნისას მეტი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს. არ ვიცი, რა ამოძრავებდა ბუიშვილს, ალბათ ფული. შეიძლება მან „ტორპედოსგან“ არ აიღო ქრთამი, მაგრამ ვიღაც დაინტერესებული პირისგან ნაღდად.

...გეთანხმებით, გულშემატკივარი სტუმარ ფეხბურთელს არ უნდა აგინებდეს. ეს ყოვლად გაუმართლებელია. ჩვენ ფეხბურთელებთან ერთად ვცდილობთ, მსგავსი აღარ მოხდეს.

*ოთარ გაბელია:* ჩვენი მთავარი მტერი მომენტების ცუდი რეალიზაციაა. ფოთშიც არაერთი მომენტი გავაცუდეთ. რაც შეეხება ქრთამს, მსაჯისთვის კი არა, ფეხბურთელებისთვის მისაცემი ფული არ მაქვს. ჩვენ სუფთად ვთამაშობთ. რაც ორდენიძემ „დინამოსთან“ მიყო, ზურა ალბათ თვითონ გავარდებოდა მოედანზე მის საცემლად.

... „ტორპედოს“ მთავარი ნაკლი ისაა, რომ სეზონისთვის სათანადოდ ვერ მოვემზადეთ. პენალტს რაც შეეხება, როგორც დავინახე, გამეზარდაშვილს მაისურაზე დაქაჩეს და წესების დარღვევა აშკარა იყო.




მსაჯი ჯუმბერ ბუიშვილი გორულ ალყაში

# რამე-რუმე ფული ღირს
## მახვილაძემ ქვა ჩახია

ფოთი. 29 აგვისტო. 17 საათი. ფაზისი. 300 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 0:3 ლოკომოტივი

| 0:1 სანიკიძე (40), 0:2 გ. ონიანი (45), 0:3 მახვილაძე (68) | |
|---|---|
| **კოლხეთი:** ქვაჩახია, ქუტიძე, აკობია, გოროზია (გ. ტყებუჩავა 46), მ. ქობულაძე, გ. კილასონია, დ. ნარსია (ჯ. შალამბერიძე 68), თაყაძე, ე. მარგალიტაძე, გუჩუა, ძოძუაშვილი (ნ. ნარსია 65) *სათადარიგონი:* გ. შენგელია; ჭითანავა, ლონლაძე, ხურცილავა **მწვრთნელი:** დავით მახარაძე | **ლოკომოტივი:** გვარამაძე, გ. ონიანი, მახვილაძე, ბაქრაძე, ლ. ქებაძე, სანიკიძე, სიჭინავა, ზ. ლაცაბიძე (კირვალიძე 89), რ. ონიანი, ბობოხიძე (სირბილაძე 62), გაგუა (ავალიანი 85) *სათადარიგონი:* ბათიაშვილი; სოსელია, ბარბაქაძე, ლ. ჩხაიძე **მწვრთნელი:** ზაურ სვანაძე |
| **გაფრთხილება:** სანიკიძე (7), მარგალიტაძე (9) | |
| **მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი) | |
| **სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე | |

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

„ზესტაფონთან“ და თასზე „ეგრისთან“ მოგებათა შემდეგ ისე ჩანდა, „კოლხეთმა“ კრიზისი დაძლიაო, მაგრამ გუნდში რომ უამრავი პრობლემაა, ეს გუშინდელმა მატჩმაც დაგვანახა.

მოგების სიხარულს დანატრებულ „ფაზისზე“ სტუმრიანობა იყო. აქეთ ფოთის პორტის ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა თავისი გუნდის სანახავად, იქით ალენ ჟირესი გია გურულითურთ დაინტერესდა მატჩით, მაგრამ ესენი რომ ამ თამაშით გაწბილდებოდნენ, ეს ცხადია.

ნამატჩევს დანა პირს არ უხსნიდა დავით მახარაძეს, რომელმაც აღიარა, „ლოკომოტივმა“ ყველა კომპონენტში დაგვჯაბნაო. ისიც დასძინა, ჩემს ფეხბურთელებს უჯობთ, ფეხბურთზე იფიქრონ და არა სხვა რამე-რუმეებზეო. როგორც ჩანს, პორტში ახალი ხალხის მოსვლამ გარკვეული ფინანსური შეფერხები წარმოშვა და ამან ფეხბურთელებზეც იმოქმედა.

კოლხებმა ერთადერთი მომენტისმაგვარი შექმნეს მთელი მატჩის განმავლობაში, ისიც დებიუტშივე, როცა ქობულაძემ კარიდან დაუფიქრებლად გამოსული გვარამაძის დასჯა შორიდან სცადა, მაგრამ სტუმრები ბაქრაძემ იხსნა. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ მხოლოდ ერთი გუნდი — „ლოკომოტივი“ ირჯებოდა მეტნაკლებად ნორმალურად და ტაიმის ბოლოსკენ საწადელსაც მიაღწია.

მანამდე კი ბურთაობა ძირითადად მოედნის შუაგულში გაჩაღდა, სადაც სტუმრები უფრო აზრიანად მოქმედებდნენ, მეტოქის იერიშებს იოლად იგერიებდნენ და შიგადაშიგ კონტრიერიშებზეც ფიქრობდნენ.

ხიფათის ნიშანი კოლხთა კართან 34-ე წუთზე გაჩნდა. რონ ონიანს თავით მართებდა გატანა, მაგრამ ქვაჩახიამ პოზიცია კარგად შეარჩია და ბურთიც იოლად მოიგერია. თუმცა, ტაიმის გასრულებას ხუთი წუთი რომ უკლდა, მას რეაგირება დაუგვიანდა სანიკიძის შორეულ დარტყმულზე. ამ ეპიზოდში შეცდა ქობულაძე, საჯარიმოდან თავით უხეიროდ გამოიტანა ბურთი, რომელიც სანიკიძეს მოიუვიდა, ამანაც გაისწორა და მარჯვენა დაბალ კუთხეში ტყვიასავით ჩასვა.

„კოლხეთს“ გონს მოსვლა ვინ აცადა. შესვენებას წამებიღა აკლდა, მარჯვნიდან გაგუამ რომ მოაწოდა, გრიგოლ ონიანმა კი ისევ მცველთა შეცდომით იხეირა, მათ შორის გაჩხერილ ბურთს დაჰკრა და გაიტანა.

ვერც შესვენების შემდეგ მოახერხეს მასპინძლებმა თამაშის ხსნა, თუმცა დიდად არც თავი გამოუდიათ. მხოლოდ მარგალიტაძეზე და გუჩუაზე ვერ ვიტყვით აუგს. სხვათა შორის, ვალტერ გუჩუა პირველად გამოჩნდა გუნდში. მას აქამდე არ მიეღო გათავისუფლების ფურცელი ირანული „ტაბა-ბატერიდან“ და ამიტომ „კოლხეთს“ მისი დაყენება შეაგვიანდა.

„ლოკომოტივი“ კი გეგმაზომიერად აწიოკებდა მეტოქეს და ორსამჯერ ანგარიშის გაზრდაც მართებდა. მარტო ქებაძეს ორჯერ გაუცუდდა ჩინებული შანსი. პირველ ეპიზოდში ქვაჩახიას ვერ ააცილა ბურთი, მეორეში კი დარტყმა გამოუვიდა უზუსტო.

სამაგიეროდ, ზუსტი და, რაც მთავარია, ულამაზესი დარტყმა მახვილაძეს გამოუვიდა. მან დაახლოებით 30 მეტრიდან, ოდნავ მახვილი კუთხიდან მოინდომა საჯარიმოს გატანა და ისეთი გაიტანა, ავ თვალს არ ენახვებოდა. ბურთი შორეულ ცხრიანში ისე ჩაეჭედა, ქვაჩახიას ნახტომი ამაოება იყო.

# სიონი კვლავაც სენსაციონია: ჩემპიონს აბრაგანი ამოსცხო



ბოლნისელმა მამუკა რუსიამ (№26) ორჯერ გაიხარა

ბოლნისი. 29 აგვისტო. 17 საათი. თამაზ სტეფანია. 800 (ტევადობა 5 000)

## სიონი 3:2 ვიტ ჯორჯია

1:0 რუსია (39), 1:1 ქოქიაშვილი (44), 2:1 რუსია (52), 3:1 მიქავა (65), 3:2 გოჩაშვილი (82პ)

| სიონი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| სიონი: ბობღიაშვილი, კობაური, ზაზაშვილი, ცქვიტაია, ლამბაშიძე, გ. კილასონია, ნ. ლაბაძე, გ. დოლიძე (ალავიძე 70), მიქავა (ჩოხელი 90), რუსია (გოგოლაძე 80) სათადარიგონი: ასლანაძე; ოქრომჭედლიძე, ვ. უგრეხელიძე მწვრთნელი: ვარლამ კილასონია | ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი (ებანოიძე 71), იმედაშვილი, დათუნაიშვილი (კუპრეიშვილი 70), დიდმელაშვილი, ლ. ნოზაძე, გველესიანი, ქოქიაშვილი (სახოკია 46), ვ. გოჩაშვილი, ადამია სათადარიგონი: მამარდაშვილი; კვახაძე, ლ. კვარაცხელია, მალიჩავა მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე |

გაფრთხილება: ცქვიტაია (10), დათუნაშვილი (29), კობიაშვილი (36), ნოზაძე (66)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

**დავით თავართქილაძე** ბოლნისიდან

ბოლნისში თამაში ყველა გუნდს უჭირს, მაგრამ თუ ჩემპიონი ასე სუსტად ითამაშებდა და ეს „სიონი" მას დაამარცხებდა, ძნელად წარმოსადგენი იყო. მაყურებელიც ბლომად არ მოსულა თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე, ალბათ, მშობლიური გუნდის წარმატებისა დიდად არ ეიმედებოდათ.

„ვიტ ჯორჯია" ჩემპიონი სწორედ „სიონთან" ექსცესებიანი „ოქროს მატჩით" გახდა, როცა ბოლნისელი გულშემატკივრები „ეროვნულის" მოედანზე გადაცვივდნენ და... ძველი ამბის გახსენება იმად დაგვჭირდა, რომ გუშინდელი შეხვედრა უსაფრთხოების მხრივ მაღალი რისკისა იყო და სერიოზული ინციდენტი არ მომხდარა. პოლიციამ ერთი ტანზემოთ შიშველი ქომაგი გაიყვანა სტადიონიდან და სხვა მაგინებელ გულშემატკივრებსაც აშოშმინებდა.

საბოლოოდ, „სიონის" მხარდამჭერები პოლიციაში კი არა, მეცხრე ცაზე აღმოჩნდნენ — ჩემპიონს მოუგეს და დიდი იმედი მიეცათ, რომ ახალი „სიონი" მალე ძველებურივით ძლიერი და მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი გახდება.

პირველივე წუთებიდან გამოჩნდა, რომ „სიონს" მეტოქეზე მეტი სისხლი და ჯიგარი ჰქონდა. თუმც ორივე გუნდი ფრთხილობდა, შეტევაში დიდი ძალებით წასვლას ერიდებოდა. პირველი საგოლე შანსი მასპინძლებს ჰქონდათ — ნიკოლოზ ლაბაძემ დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ვერ დაუმიზნა გრიგოლ ბედიაშვილის კარს. „ვიტ ჯორჯიამ" კი ერთი მწვავე იერიშიც ვერ მიიტანა „სიონის" კარზე, ვიტელები თითქოს უფხოდ თამაშობდნენ.

პირველი გოლი ასე გავიდა — კახა ცქვიტაიამ მოედნის ცენტრში ერთი მეტოქე ჩამოიტოვა და მამუკა რუსიას გაუჭრა ოცდაათმეტრიანი პასი, რუსიამ სისწრაფის ხარჯზე დაჯაბნა ვიტელთა დაცვა, ხოლო კარიდან გამოსულ ბედიაშვილს თავზე გადაუგდო ბურთი.

ვიტელები დაფაცურდნენ, რასაც გამთანაბრებელი და, ცოტა არ იყოს, კურიოზული გოლი მოჰყვა — დავით ქოქიშვილმა კუთხურიდან „სიონის" კარის ახლო ძელთან დააბზრიალა ბურთი, რომელიც ბოლნისელთა ერთ-ერთ მცველს თავზე გაეხახუნა და 1:1.

გუნდები შესვენებაზე გავიდნენ და მათ მაშინ არაფერი ეტყობოდათ იმისა, რომ კიდევ სამ გოლს გვანახებდნენ.

დაიწყო მეორე ტაიმი და ირაკლი მიქავას დროც ჩაირთო. მან ბურთი ბრძოლაში მოიგდო, ოსტატურად შემობრუნდა და რუსია ერთხელაც შეატოვა ბედიშვილს — ფეხმალმა ფორვარდმა მეორე შანსიც უნაკლოდ გამოიყენა.

ჩემპიონი კი ველარ დაფაცურდა, რაღაც აბდა-უბდას თამაშობდა, თამაშის შემომბრუნებელს არ ჰგავდა და ამასობაში კვლავ გაიბრწყინა მიქავამ — 20 მეტრიდან ძლიერი, მოწყვეტილი ცაციათი 3:1 გახადა.

ამანაც ვერ გაახელა „ვიტ ჯორჯია", „სიონმა" კი კინაღამ მეოთხე გოლი გაიტანა — ნაკუთხურალ ბურთზე ცქვიტიას ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ ახლოდან თავით კარგად ვერ დაუმიზნა კარს.

ამის შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ" ოდნავ გამოიხედა თვალებში, ოლეგ გველესიანმა 11-მეტრიანი მოინაგრა და ვლადიმერ გოჩაშვილის ზუსტმა პენალტმა „ვიტ ჯორჯიას" ფრის შანსი გაუჩინა. მატჩის ბოლო წუთებში სტუმრები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ულაზათოდ და უბარაქოდ. „სიონმა" ჩემპიონს ნამდვილი აბრაგანი ამოსცხო.

*ვლადიმერ ხაჩიძე:* მეტოქემ მეტი კონცენტრაციის და მეტი მობილიზაციის ხარჯზე გაიმარჯვა. დაცვაში ორი უხეში შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ. არ ველოდი, თუ ასეთი შეცდომები მოგვივიდოდა.

*ვარლამ კილასონია:* დაახლოებით ვიცოდით, მეტოქე რა ტაქტიკით ითამაშებდა და ის, რომ რუსიამ ორი გოლი გაიტანა, დამუშავებული კომბინაციები იყო — რუსიას სისწრაფე უნდა გამოგვეყენებინა და ამან გაამართლა. რაც შეეხება წინა სეზონის „ოქროს მატჩს", ჩვენთვის ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი არ ყოფილა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 13 |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 14:4 | 10 |
| ლოკომოტივი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:3 | 10 |
| თბილისი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:6 | 9 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 0 | 2 | 12:10 | 9 |
| ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 7 |
| სიონი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:17 | 6 |
| კოლხეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |
| დილა | 5 | 0 | 0 | 5 | 4:12 | 0 |
| ზესტაფონი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:13 | 0 |

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელ ოთარ მარცვალაძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო



სანაკრებო შეკრება ჯერ არ დაწყებულა და ალენ ჟირესმა უკვე ერთი ფეხბურთელი დაკარგა — გიორგი ლომაია თავის ქალის ტრავმის გამო საქართველოს ნაკრებს ვერ შეეშველება. მართალია, ნაკრების თავკაცობას თადარიგი ადრევე ჰქონდა დაჭერილი და თავიდანვე სამ მეკარეს უხმო, თუმც ფაქტია, ლომაიას ტრავმამ მწვრთნელთა გეგმებზე მცირედ მაინც იმოქმედა.

გუშინ საქართველოს ნაკრების მეკარეების მწვრთნელ ოთარ გაბელიას შევეხმიანეთ და კომენტარი ვთხოვეთ...

## გვარამაძე, ოღონდ დევაძე

— გუშინ გავიგე, რომ ლომაია ჩამოსვლას ვერ შეძლებს. როგორც მითხრეს, მისი ტრავმა სერიოზული გამოდგა.

— ლომაიას შემცვლელად ვის მიიწვევთ ნაკრებში?

— არავის. თურქეთთან და ალბანეთთან სათამაშოდ აკაკი დევაძე და დავით გვარამაძე მოემზადებიან.

— გავიგეთ, ზვიად სტურუას გამოძახებას აპირებდით...

— სტურუა ნაკრების კანდიდატია და მის მიწვევაზე მართლა იყო ლაპარაკი, თუმც ალენ ჟირესი დღეს თავად გაემგზავრა ფოთში გვარამაძის სანახავად და გადაწყდა, მესამე მეკარე აღარ დაგვემატებინა. ისე კი, სტურუაზე ხელი არ ჩაგვიქნევია.

— თურქეთში ალბათ დევაძეს ენდობით...

— ასეა. დევაძეს დიდი ხანია ვიცნობ და ვფიქრობ, დღეს ის კარგ ფორმაშია.

**კახა ზალამბერიძე**

## წერილი თუ სიხარული?

თუ გახსოვთ, ევროპის ჩემპიონატის დღეებში გვქონდა რუბრიკა **EUROFAN2004**. უფრო სწორად კი, ეს თქვენი რუბრიკა იყო, რომელშიც თქვენს გამოგზავნილ წერილებს ვბეჭდავდით.

ის ძალიან პოპულარული რუბრიკა იყო და სამ საჩემპიონატო კვირაში თქვენგან ორასიოდე წერილი მივიღეთ, რომელთა უმრავლესობა „სარბიელში" დაიბეჭდა, ხოლო რომელთა გამოქვეყნებაც ვერ მოვახერხეთ, მხოლოდ ადგილის უქონლობის გამო – წერილები ძალიან ბევრი იყო.

თქვენი სურვილი იყო და ჩვენც დაგპირდით, რომ მკითხველის რუბრიკა ევროპის ჩემპიონატის დასრულების მერეც გაგრძელდებოდა. სასაუბრო თემები ხომ უამრავი გვაქვს – ეროვნული ჩემპიონატები, ჩემპიონთა ლიგა, სანაკრებო ფეხბურთი...

მოკლედ, მკითხველის რუბრიკა 1 სექტემბრიდან განახლდება და ჩვენი თემა საქართველოს ნაკრები იქნება. მოგეხსენებათ, 4 სექტემბერს ჩვენი ეროვნული გუნდი თურქეთს ხვდება.

1 სექტემბრიდან მატჩამდე შეგიძლიათ მოიწეროთ თქვენი აზრი ნაკრებზე. რას ფიქრობთ, შეძლებენ თუ ვერა ჩვენები თურქებთან ღირსეულად თამაშს და საერთოდ, შეძლებენ თუ ვერა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლას. ოღონდ გთხოვთ, თქვენი ვარაუდები დაასაბუთოთ და სათანადო არგუმენტები ჩამოთვალოთ. ხოლო თურქეთ–საქართველოს მატჩის მერე, რამდენიმე დღე, შეხვედრის გარჩევას დავუთმობთ.

*წერილები გამოგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე:* ***geo_geo_fan@hotmail.com***

საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგა პირველი წრე 16 ტური

**ოლიმპი 1:1 ლოკომოტივი 2**

**ივერია 1:1 ცხინვალი**

**ჩიხურა 0:0 გურია**


ფეხბურთი

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა

პირველი ლიგა

30 აგვისტო

მესამე ტური

ამერი — კახეთი

თბილისი თელავი

დასაწყისი 17 საათზე. დასწრება უფასოა

მის: თიანეთის გზატკეცილი 25

(გლდანულას გადასახვევთან)


**ესპანეთი**

სეგუნდადივიზიონი. I ტური

სიუდადი 1:0 კორდობა

**პორტუგალია**

სუპერლიგა. I ტური

ბეირა მარი 2:3 ბენფიკა



REUTERS





## როგორ მოგეწონათ?
იანა ანგელოპულოსმა
ოლიმპიადას კარგად უდიასახლისა

REUTERS

მომავალ შეხვედრამდე,
4 წლის შემდეგ, პეკინში





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge